# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 20 თებერვალი, 2009 წელი.

№ 32 (6133)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## პრეზიდენტო, ნუ შეურაცხყოფთ ერს!



3-4



*იმის მაგივრად, რომ ხალხისთვის შეგემსუბუქებინათ თქვენ მიერვე დატრიალებული ტრაგედიის გასაჭირი, გამოავლინეთ მხდალი პოლიტიკოსის ყველა მანკიერი თვისება და თქვენი სამარცხვინო ქცევით უკიდურესად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთ ისედაც გზააბნეული და შეურაცხყოფილი ერი.*

ჟარო, საიდან მოდიხარ?!.

## აქა ამბავი ვინმე გიორგი ანდრიაძის ძეგლთმლეწაობისა,

ანუ როგორ გახდა იგი თავისივე „ანტიქართველთა ათეულის“ პროექტის ერთ-ერთი პირველი ნომინანტი

5



რუსეთი და საქართველო: პირველი შეთანხმება

7

მიხეილ სააკაშვილი ბი-ბი-სის კორესპონდენტის თვალით

გაუტიეს!

## თეას წიკვინი და ბორიას ულვაში

2





## ვითომ კარგად ვცხოვრობთ?

ანუ რამდენიც უნდა ვიძახოთ, ჰალვა, ჰალვაო, პირში სიტკბოს ვერ ვიგრძნობთ

4

ლიტერატურული ასოციაციები

16

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სამშობლოში დღეს დაბრუნდება

ოთხშაბათს, 18 თებერვალს, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ პატრიარქი გერმანიაში მოინახულა. ბესელიას თქმით, პატრიარქი თავს ძალიან კარგად გრძნობს, მხნედაა და საქართველოში პარასკევს დაბრუნდება.



აქცია

# დარღვევათა კალეიდოსკოპი

## რად შეამკეს გიგი უგულავა დამანგრევლის თიკუნით?

**გუშინ თბილისში, კოსტავას ქუჩის №41 სახლის მცხოვრებლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი სავაჭრო ცენტრის მშენებლობას აპროტესტებდნენ, რომელიც წელიწადზე მეტია, რაც მათი საცხოვრებლის გვერდით მიმდინარეობს და მალე დასრულდება კიდეც.**

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ეს მშენებლობა უკანონოა, ამის გამო, მათ ერთ წელზე მეტი ხნის წინათ სარჩელი შეიტანეს სასამართლოში. მართლმსაჯულებამ ერთხელ უკვე დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და „გრატო პასაჟის“ მშენებლობა უკანონოდ სცნო, მაგრამ სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ იგივე სასამართლომ თავისივე გადაწყვეტილება გააუქმა(?!) და პროექტი კვლავ გაგრძელდა. ახლა მშენებლობა ზიანს აყენებს მის გვერდით მდგარ შენობას, რომელიც ეროვნული მემკვიდრეობის ძეგლია და რომელსაც უკვე ბზარები გაუჩნდა და დანგრევის საფრთხის წინაშე დგას.

მშენებლობის დაწყებისას დაირღვა პირადი საკუთრების უფლება, არ გაითვალისწინეს მობინადრეების ინტერესი. ამასთან შენობა, რომლის ადგილზეც სავაჭრო ცენტრი შენდება, 2007 წლის 15 ოქტომბერს დაანგრიეს. ამის გაკეთების უფლება კი მერიამ 2007 წლის 18 ნოემბერს გასცა?(?!). საქმე აღიძრა პროკურატურაშიც, მაგრამ გამოძიება სწრაფადვე შეწყდა.

აქციაზე მერიის წარმომადგენლები არ გამოცხადებულან. კოსტავას №41-ის მცხოვრებლები ამბობენ, რომ მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, მათგან პასუხი არ მიუღიათ. ისინი ბოლომდე ბრძოლას აპირებენ და სასამართლოს ახალ განაჩენს ელოდებიან, თუმცა ფიქრობენ, რომ გადაწყვეტილება არასამართლიანი და მათთვის მიუღებელი იქნება.

**აქციის ბოლოს, მისმა მონაწილეებმა პროტესტის ნიშნად, „გრატო პასაჟის“ ბილბორდებზე შემდეგი შინაარსის წარწერები დატოვეს: „არ იყიდოთ, უკანონოა!“; „მალე დაინგრევა“, ხოლო თავიანთი საცხოვრებელზე დიდი პლაკატი ჩამოჰკიდეს წარწერით: „უგულავა ანგრევს“.**

**ანა წიწილაშვილი**

წარდგენა

# გილაურის კიდევ ერთი ინიციატივა

**პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ინიციატივით სრულიად ახალი და მოცულობითი ვებ-გვერდი: www.georgia gov.ge შეიქმნა. ამიერიდან ამ საიტზე განთავსდება კონკრეტული მონაცემები ბიზნესით დაინტერესებული ქართველი თუ უცხოელი ინვესტორებისთვის, რომლითაც შეიძლება ისინი დაინტერესდნენ საქართველოში ბიზნესის დაწყების წინ.**

გუშინ, მთავრობის კანცელარიაში ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა ვებ-გვერდის ოფიციალური წარდგენა გამართა. მუდმივად განახლებად ვერბალურ გვერდს ნებისმიერი დაინტერესებული პირი შეიძლება გაეცნოს და მოიპოვოს ოფიციალურ სამთავრობო საიტებზე მოთავსებული ინფორმაცია.

პრემიერის თქმით, აქამდე ინვესტორს 25-მდე სხვადასხვა საიტებზე უწევდა შესვლა, ამიტომ ამ ინიციატივით პროცესი გამარტივდა.

ინტერნეტ-საიტი ორენოვანია: ქართული და ინგლისური. აქ იქნება ინფორმაცია შემდეგი „ბანერებით“: 100 ახალი საწარმო სოფლად, განახლებადი ენერგია, საგადასახადო კოდექსი, ინდუსტრიული ზონა, განახორციელე ინვესტიცია საქართველოში, ასევე, ინფორმაციები ტენდერებისა და ვაკანსიების შესახებ.

საინტერესოა ისიც, რომ მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, ნებისმიერი შეკითხვით მიმართოს მთავრობას.

ფინანსთა მინისტრმა თქვა, რომ კვლევების მიხედვით, დაბალი გადასახადების კუთხით საქართველო ბოლოდან მეოთხე ადგილზეა. მას მოსდევს კატარი, არაბეთის გაერთიანებული საამირო და ჰონკონგი. ამიტომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნესგარემოა დამწყები ბიზნესმენებისთვის.

**თეა მოსია**

დედაქალაქი

# ეს ძვირფასი, ძვირფასი „ავტოკონდუქტორები“

ტყუილი ნათქვამი როდია: ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო. აი, ახლაც, მართალია, თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან, მას შემდეგ, რაც ტრამვაი საყოველთაოდ მოშალეს, მხოლოდ მეტრო და ავტობუსი დარჩა, პერმანენტულად მათი „მოდერნიზება“ მიმდინარეობს. „გათანამედროვეობის“ ეს პროცესი (თუკი მაქსიმალურად არაკომფორტულ ავტობუსებს „ბოგდანებს“ არ ჩავთვლით) უწინარესად რატომღაც მგზავრობის საფასურის მომატებას უკავშირდება.

ჯერ იყო და, მეტროს მგზავრობის საფასური რომ გაგვიორმაგდა, საყვარელმა თბილისის მერიამ, სადგურების ზედა ფოიეებში საკონტროლო ტურნიკეტების გადაკეთებას მიჰყო ხელი, რასთან დაკავშირებით, გახსოვთ, ალბათ, ბატონებო, იმ მასშტაბის სატელევიზიო კამპანია გააჩაღა, თითქოს მეტროთი ერთი უბნიდან მეორეში კი არ გვემგზავრა, არამედ, სულ მცირე, სხვა სახელმწიფოში წავსულიყავით. ეს, ცხადია, დიდძალი ფული დაჯდა. ახლა ახალი ჟეტონების დამზადებას და საკონტროლო ტურნიკეტების გადაკეთებას არ იტყვით?!

ამჯერად, ავტობუსების ჯერი დადგა. ხომ გახსოვთ, ჯერ იყო და, კონდუქტორების ინსტიტუტი შემოიღეს, რომლებსაც ახლადშეძენილ უკრაინულ თუ ჰოლანდიურ, მგზავრთათვის ისედაც საოცრად მოუხერხებელ სალონებში წინ და უკან უნდა ევლოთ, ვინაიდან მათთვის ცალკე ადგილი გათვალისწინებული არ არის. არ გაამართლა ამ წამოწყებამ და ვერც გაამართლებდა, იმიტომ, რომ გონების ყოველგვარი დაძაბვის გარეშე იყო „მოფიქრებული“.

რას იზამდნენ, ამის შემდეგ ისევ მძღოლებმა იკისრეს მოქალაქეთაგან მგზავრობის საფასურის აღება, რაც, ცხადია, სულაც არ უწყობდა ხელს არც საგზაო მოძრაობას და არც მგზავრთა უსაფრთხოებას. ამიტომ საჭირო გახდა ბილეთების ავტომატური აპარატების დადგმა. ჰოდა, დადგეს კიდეც, მაგრამ რა დადგეს, თანაც რა ფასად! ვისაც ავტობუსით ბოლო დროს ერთხელ მაინც უმგზავრია, ნამდვილად დაგვეთანხმება, რომ ახლა ამ ტრანსპორტით მგზავრობისთვის კაცი წინასწარვე მომზადებული იყოს, თორემ თუკი 40 თეთრი ნებისმიერი ნომინალის მონეტებით არა აქვს, ბილეთს ვერაფრით აიღებს, რადგან მძღოლებს **კატეგორიულად** აქვთ აკრძალული მგზავრებისგან არა მარტო მგზავრობის საფასურის აღება, არამედ (ცხადია, შესაძლებლობის შემთხვევაში) ფულის დახურდავებაც კი. არადა, თუკი მაინც მოგიწიათ (უნებლიეთ!) უბილეთოდ მგზავრობა და გაჩერებაზე კონტროლიორმა ბილეთი მოგთხოვათ, პირველ ჯერზე 15 ლარით დაგაჯარიმებენ, მეორეზე — 30 -ით, მესამეზე — 45-ით და, თუ ღმერთი გაგიწყრათ, შეიძლება ბოლოს თავი სატუსაღოშიც ამოჰყოთ. ახლა წარმოიდგინეთ, რომ რამდენიმე კაცთან (ვთქვათ, ოჯახის წევრებთან) ერთად მგზავრობთ, გამოდის, რომ რამდენი კაციც ხართ, იმდენი 40-40 თეთრი უნდა იქონიოთ, თანაც ზუსტად 40, რადგან ახალი „ავტოკონდუქტორები“ 50-თეთრიან მონეტებს „არ ცნობენ“. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მეტ დისკომფორტს შეუქმნის (უკვე შეუქმნა) ჩვენს ისედაც არცთუ დალხენილ თანამოქალაქეებს. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, უბილეთო მგზავრების სადამსჯელო ოპერაცია სრული მასშტაბით 20 თებერვლიდან წამოიწყება, როცა ახალ შავ უნიფორმებში გამოწყობილი კონტროლიორები (ზურგზე წარწერით „თბილისის ავტობუსი“) საყოველთაოდ დაუწყებენ დევნას უბილეთოებს.



მარტო ამაზე ამდენი ლაპარაკი იქნებ არც ღირდა, რომ არა „ავტოკონდუქტორების“ კიდევ ერთი არსებითი ნაკლი, რომელთა შეძენა-დაყენება დედაქალაქის ბიუჯეტს, არც მეტი, არც ნაკლები, შვიდი მილიონი ლარი დაუჯდა. მგზავრობის საფასურის გადახდის ახალ სისტემაზე გადასვლასთან ერთად, გაყიდვაში სხვადასხვა ფასიანი, რამდენიმე მგზავრობაზე გათვლილი აბონემენტები გამოვიდა. ჰოდა, ამ აბონენტის ხმარებას, როგორც ვნახეთ, ცალკე საგანგებოდ ხელის გაწაფვა უნდა, თორემ მისი ხმარებისას ერთი ბილეთის მისაღებად საჭირო დროს თუ გადააცილეთ, ავტოკონდუქტორი მეორე, მესამე და ა.შ. ბილეთსაც „მოგართმევთ“, ცხადია აბონემენტიდან სათანადო თანხის „ჩამოჭრით“. წადი მერე კაცმა და ედავე ამის თაობაზე რკინის კოლოფს!

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: იქნებ ვინმეს „ავტოკონდუქტორების“ თემა საყოველთაო სიდუხჭირის პირობებში არცთუ მნიშვნელოვნად მოეჩვენოს, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი ცხოვრება მაინც წვრილმანებისგან შედგება და მათი უგულებელყოფა, თანაც ამხელა ფულად, ქალაქის ხელისუფლების მიერ თანამოქალაქეთა შუბლში კიდევ ერთი წკიპურტია.

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლო მომავალში შესაძლოა „ავტოკონდუქტორების“ ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგეს, გამოვა, რომ ამ სიახლით მოგებული მხოლოდ ის „თეთრები“ დარჩებიან, ვინც მუდამ იწყებენ და მუდამ იგებენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

გაუტიეს!

# თეას წიკვინი და ბორიას ულვაში

## ანუ ტელევიზორი – ძმა ჩემი, მტერი ჩემი!

**ქალაქური ფოლკლორი: ჩემი დალევა აღარ შეიძლება, ძმაო, იმ დღეს ტელევიზორში „ბაში-აჩუკი“ ვნახე და ტირილით გავსკდი!, — სევდიანად ამბობს შუახნის, სახეშეშუპებული კაცი...**

**ეს ამბავი გამახსენდება ხოლმე, როცა ტელევიზორის ყურებისას ცუდად ამიჩქარდება მაჯისცემა და სუნთქვა მეკვრის.**

**არა, ძმაო, ჩემი ტელევიზორთან ჯდომა აღარ შეიძლება!**

**ვუყურე გუშინწინ „მაესტროს“ პროგრამა „უცნობ კავკასიაზე“ თეა თუთბერიძეს და ერთბაშად და ერთობლივად ამიწია წნევამ, ტემპერატურამ, პულსმა...**

**მართალი გითხრათ, უმალ ვერ ვიცანი: მოკეთებულა, დაწმენდილა, ერთი სიტყვით, კაი ცხოვრება მოუვარგებია, მოკვიტინებულა.**

**ეს, სანამ პირი არ გაალო...**



**გაალო და — ისევ ის ძველი, ნაცნობი ავი ვირთხა (ვირთხასთან ბოდიში!), რომლის მთელი ინტელექტი სალებავიან ტუბიკში თავსდება, რათა მერე შენობები „კმარა-კმარაო“ წარწერით აჭრელებაში განსხეულდეს.**

**არადა, დღეს სკოლის დირექტორთა „დირექტორია“ (ანუ, ბედნავსი დირექტორების „კაპო დი ტუტი კაპო“!), მოძღვრავს, მითითებებს აძლევს...**

**რატომ ღმერთი არ გაიცინებს, რატომ წვიმას და წუწუპას არ მოუვლენს ამ უბადრუკ ქვეყანას!**

**ომბუდსმენ სოზარ სუბარს აკრიტიკებდა, უმოქმედობაში (უფრო სწორად, მოუვალეობის შეუსრულებლობაში) ადანაშაულებდა, პოლიტიკაში გადავარდნას უკიჟინებდა, „ღრმააზროვნად“ წიკვინებდა.**

**და ამას იქმდა უწიგნურთათვის დამახასიათებელი აპლომბით, დაუნაწევრებელი ზმუილსხაპასხუპუნით, საგანგებოდ თითიდან გამოწოვილი „პრინციპულობით“...**

**უსმენ და თავისით მოდის კითხვა: ვინ არის, საიდან და რატომ გამოჩნდა ეს ქალი საქართველოს პოლიტიკურ კაბადონზე, და თუ გამოჩნდა მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, რატომ შემორჩა აქამდე?**

**რისთვის სჭირდება ხელისუფლებას მისი ხელისბიჭობა (ხელისგოგოობა!) და დრო და დრო ტელეეკრანზე შემოგდება?**

**ნუთუ, რეჟისორ-ხელისუფალი ვერ ხვდება, რომ ეს ქალი მხოლოდ კიდევ უფრო უტეხს სახელს ისედაც სახელგატეხილ ნაცმოძრაობას?**

**აკი დაურეკა კიდეც გადაცემის წამყვანს ერთმა ნერვებაშლილმა ქალბატონმა, ეს თეა თუთბერიძე საქართველოს სირცხვილიაო.**

**ოღონდაც!..**

**სხვათა შორის, ასევე დაწამლა ტელემაყურებლები წინა დღეს „კავკასიის“ პროგრამა „ბარიერის“ მონაწილე მხატვარმა მაია ორჯონიკიძემ თავისი არაქალური, რაც მთავარია, მდაბიური, „ძველბიჭური“ მანერებითა და მსჯელობის ასევე მდაბიური სტილითა და შინაარსით...**

**მაგრამ ცხოვრება მხოლოდ ბნელით როდია მოსილი, ნათელიც ახლავს....**

**მოკლედ, ტელევიზორმა სიამეც მომგვარა გუშინ.**

**ჟენევიდან გადმოცემას ვუყურებდი და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი“ ბორის ჩოჩიევი ვიხილე — ის, „ჩვენი“, ულვაშა, უფრო სწორად ულვაშზე მიწებებული ჩოჩიევი... უულვაშოდ.**

**გაუპარსავს ის ცხვირ-პირზე ჩამოფხატებული, საგანგებოდ ნაზარდმოვლილი, ფოცხივით ულვაში, რომელსაც რქებივით ულერებდა ხოლმე საქართველოს ხელისუფლებას.**

**ახლა ის „დამოუკიდებელი“, რუსეთის მიერ აღიარებული „სახელმწიფოს“ წარმომადგენელია და სახემოკრიალებული კარასინის გვერდით პირდაპირ ანაქრონიზმად გამოჩნდა.**

**ჰოდა, როგორც ჩანს, პროტოკოლმა მოითხოვა და „გაევროპელებულმა“ ჩოჩიევმა ულვაში სამშობლოს და კოკოითის პრესტიჟს და ღირსებას შესწირა. კოკოითს, რომელიც არ დაუვიწყებს ამ მსხვერპლს...**

**მოკლედ, ტელევიზორი — ძმა ჩემი, მტერი ჩემი!..**

**სანდრო ალექსიძე**

**მიმართვა**

**ამ ცოტა ხნის წინათ, WWW.CAUCASIA-EXPERTS.ORG საიტზე, განთავსდა ცნობილი მეწარმისა და მეცენატის, ამჟამად ხელისუფლების იძულებით საქართველოდან გადახვეწილი გოჩა ძასოხოვის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ყველა მოქალაქის, ყველა ერის წარმომადგენლის, ყველა ადამიანისადმი, ვისთვისაც სულერთი არ არის ქვეყნის ბედ-იღბალი, მისი მომავალი. ეს არის საქართველოს, უსაზღვროდ მოყვარული კაცის გულისტკივილი და აღშფოთება სამშობლოში დღეს მიმდინარე მოვლენების გამო.**

**ინტერნეტის მომხმარებელთა თხოვნით ვბეჭდავთ გოჩა ძასოხოვის ამ მიმართვას.**



# გოჩა ძასოხოვი: პრეზიდენტო, ნუ შეურაცხყოფთ ერს!

## საქართველოს ყველა მოქალაქეს, ყველა ერის წარმომადგენელს, ყველა ადამიანს, ვისთვისაც სულერთი არ არის ქვეყნის ბედ-იღბალი, მისი მომავალი

ჩემი მომართვის მიზანს და შინაარსს საფუძვლად უდევს იმ კატეგორიის ადამიანთა შეხედულებები, ვისთვისაც ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ბაზის განვითარება, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აღმავლობა და გაძლიერება უპირველეს და უმთავრეს პრიორიტეტად არის მიჩნეული.

მე არა მარტო ვიზიარებ ამ ადამიანების შეხედულებებს, არამედ, ეს არის ჩემი მრწამსი, რომელიც წლების განმავლობაში ჩემ მიერ განხორციელებული საქმიანობით რეალობად ვაქციე, ყოველთვის ვცდილობდი ჩემი ძალებით, ჩემი მოღვაწეობით განმემტკიცებინა ისტორიულად მრავალეროვან, საქართველოში სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შორის ძმური, კეთილგანწყობილი ურთიერთობა.

ჩემს ყველა გამოსვლაში ოსებს, ქართველებს, აფხაზებს და სხვა ერების წარმომადგენლებს მოვუწოდებდი, ერთმანეთის მხარდამხარ, ერთად გვეშენებინა ერთიანი, ძლიერი, ქართული სახელმწიფო, რომელც შემდგომში ღირსეულ ადგილს დაიკავებდა მსოფლიოს დემოკრატიულ თანამეგობრობაში.

შევძელი თუ არა მე ეს ყველაფერი, ვიყავი თუ არა მართალი, ამას უახლოესი მომავალი განსჯის და გაარკვევს. სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობა არ გვაძლევს ჩვენ, ადამიანებს, საშუალებას ვიაზროვნოთ უფრო სალად, უფრო ობიექტურად, ვთქვათ სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა.

მაქსიმალურად ვიხარჯებოდი და გულისხმიერებითა და სიყვარულით ვაკეთებდი ყველაფერს ჩემი ქვეყნისათვის – სადაც დავიბადე, გავიზარდე და მომავალშიც გავაგრძელებ ამ დამოკიდებულებას შესაძლებლობის მიხედვით.

დღეს ჩვენს ქვეყანას, როგორც არასოდეს, სჭირდება ერთიანობა და ერთმანეთისადმი თანადგომა. სააკაშვილის მიერ ქართველ ხალხზე წლების განმავლობაში თავმოხვეულმა არასწორმა პოლიტიკამ დაღუპვის პირას მიიყვანა ჩვენი ქვეყნის ინტერესები, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი თვალსაზრისით, მისი სამარცხვინო რეჟიმი დღესაც ცდილობს ქართველ ერს დაუკარგოს მისი ისტორიული სახე, დაასამაროს ყველა ისტორიული, მართლმადიდებლური ფაქტი, საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ძმურად მცხოვრები ყველა ხალხისა, დაამსხვრიოს რეალურობად ქცეული ლეგენდა მრავალეროვანი, ინტერნაციონალური ქვეყნისა.

თუ რა მოხდა აგვისტოს დღეებში საქართველოში, ამას დღეებად, თუნდაც თვეებად ქცეული ისტორიის სწორი სამართლებრივი ანალიზი გაარკვევს და მოჰფენს ნათელს.

მიუხედავად ყველაფრისა, მინდა დაგარწმუნოთ, ჩვენი ერთად ცხოვრება გარდაუვალია, გარდაუვალია იმიტომ, რომ ჩვენ არ გავხდებით არასოდეს ბრმა იარაღი იმ ვერაგული და მზაკვრული პოლიტიკისა, რასაც სააკაშვილი და მისი დამღუპველი რეჟიმი ახორციელებს.

ხალხები, ერები, ვისაც გააჩნია თანაცხოვრების, თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსული, ვისთვისაც სანუკვარ ფასეულობას წარმოადგენს სულიერი სიმდიდრე და ეროვნული კულტურა, მომავალშიც იმსახურებს და-ძმურ თანაარსებობას, სწრაფვას მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

გწამდეთ, ჩვენი სულგრძელი, დიადი და ბრძენი ერი იპოვის გამოსავალს, სწორ გზას ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლისა. გზას, რომელიც ჩვენს ქვეყანას, საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხებთან ერთად მიიყვანს მსოფლიოს თანამედროვე, ცივილიზებულ თანამეგობრობასთან.

როდესაც კაცობრიობის ისტორიაში შენს ქვეყანას, მასში მცხოვრები ყველა ერისა და რჯულის წარმომადგენელს განსაკუთრებული ადგილი ეკავა და ათასწლეულების მანძილზე გაუძლო ეპოქათა ცვლილებებს, ცივილიზაციისა და იმპერიების ბობოქარ ჟამთასვლას, არ შეიძლება არ გეამაყებოდეს ის, რომ შენც დაიბადე და გაიზარდე ისეთ ღვთისგან კურთხეულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

თუ ქვეყნისთვის გიძგერს გული, არ შეიძლება არ აღიქვამდე მის ყველა მოვლენას, სიხარული იქნება ეს თუ სინანული.

არც ჩემი ქვეყნის დღევანდელი რეალობაა ამის გამონაკლისი. ის, რაც საქართველოში ბოლო წლების, განსაკუთრებით ბოლო თვეების განმავლობაში ხდება, არ შეიძლება დიდ გულისტკივილს არ იწვევდეს.

წარსულში ლეგენდად ქცეული მრავალეროვანი და მრავალრელიგიური საქართველო მსოფლიოსათვის იყო ხალხების თანაცხოვრების, მდიდარი კულტურისა და ეთნოსის სინთეზის ნათელი მაგალითი.

სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა გახდა განსჯის საგანი სულ სხვა ასპექტში, სულ სხვა მიმართულებით. საგანგაშოა, თუ როგორ ითელება ჩვენ ქვეყანაში მცხოვრები ხალხების ისტორიული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი სინამდვილე და მავანნი და მავანნი პირადი ამბიციების, ვიღაცის დაკვეთის, მესამე ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, აჩაღებენ ძმათამკვლელ ომს, ომს, რომელსაც ჩემი და ჩემი თანამოაზრეების გადმოსახედიდან არა აქვს არავითარი ლოგიკური ახსნა. კიდევ ვიმეორებ, იმას, თუ რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში, ისტორიის უახლოესი მომავალი გაარკვევს.

ერთ რამეზე გავამახვილებ განსაკუთრებულ ყურადღებას: საუკუნეების მანძილზე ჩვენი ხალხის ისტორიას თან სდევდა ზარების შემოკვრის რიტუალი, რომელიც ეძახდა ხალხს, აფხიზლებდა ქვეყანას სამშობლოსათვის სახიფათო ამა თუ იმ დროსა და ჟამს. და, მე თუ მკითხავთ, დღეს საქართველოში სწორედ რომ ზარების შემოკვრის დროა, რათა გაიგოს ყველამ, დაფიქრდეს თითოეული ჩვენგანი და რეალურად აღიქვას ის სასტიკი სინამდვილე, რაც თავს მოახვია ქვეყანას დღევანდელი პრეზიდენტის რეჟიმმა.

ჩემგან არ გესწავლებათ, ბატონო მიხეილ (მოგმართავდით ყოველთვის ასე და არც ახლა დავარღვევ ჩემი ცხოვრების წესსა და ეთიკის ნორმებს), ყველა ხალხისა თუ ქვეყნის ლიდერის ვალი, პირველ რიგში, საკუთარ ხალხზე ზრუნვა და პირადულზე მაღლა ერის ინტერესების დაყენება და ფაქიზად მოპყრობაა. მთავარი ის კი არ არის, თუ როგორ მოევლინები შენს ერს თუნდაც მესიასავით და შეპირდები აყვავებას და აღორძინებას, არამედ ის, თუ როგორ ატარებ მას, შენს ხალხს, თუნდაც ნარეკლიანი, რთული გზით და სამშვიდობოზე გაიყვან, როგორც ეს დიდმა დავითმა შეძლო, არამარტო ცეცხლითა და მახვილით, არამედ ღმერთისადმი დიდი სიყვარულით, ლოცვითა და ვედრებით.

ყველას ახსოვს თქვენი პირველი ნაბიჯები, თუნდაც ჩვენი ქვეყნისთვის არატრადიციული, მაგრამ ასე ჩავთვალოთ, სახელმწიფო აზროვნებიდან გამომდინარე. ისტორიულ მოვლენად შეაფასა მთელმა საქართველომ თქვენი ფიცის დადება ჩვენთვის ყველასთვის დიდი მეფის, საქართველოს გამაერთიანებლის, წმინდანად შერაცხული დავით აღმაშენებლის საფლავზე გელათში. თქვენ იქ დაპირდით თქვენს ხალხს, რომ ქვეყანას გააერთიანებდით და ააღორძინებდით, მაგრამ ჩვენთვის ყველასთვის საუბედუროდ, შემდგომში დაგავიწყდათ ის, რომ საქართველოს გაერთიანება, მისი აყვავება და პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლევამოსილების განმტკიცება დიდმა დავითმა ოსებთან და აფხაზებთან სიყვარულითა და ძმობით შეძლო.

მე არასოდეს დამავიწყდება თქვენი მოწოდება საქართველოს ყველა ღირსეული შვილისადმი, დაგვეკაპიწებინა ხელები და თითოეული ჩვენგანის მიერ გარკვეული საქმის კეთებით, მოწიწებული შენატანებით აგვეშენებინა ძლიერი, ფეხზე დამდგარი სახელმწიფო. ბევრმა მივიღეთ შენი ეს გამოწვევა. იცით თქვენ ეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ეს იყო მთლიანად ჩვენი ხალხის გამარჯვება, ქვეყნის ხაზინაში თითოეული ბიზნესმენის, მეწარმის მიერ შეტანილი გადასახადების შედეგი. საქართველოს გარეთ მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა იმედის თვალით შეხედეს მომავალს, დაიწყეს ფიქრი სამშობლოში დაბრუნებაზე, შეძლებისდაგვარად ყველა შეეცადა რაიმე ბიზნესის წამოწყებას, კაპიტალის დაბანდებას, ყველას გაუჩნდა ეროვნულ-პოლიტიკური შემორიგების იმედი, მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი ფარსი და მწარე გაწბილება აღმოჩნდა. ქვეყანაში დაბრუნების მაგივრად კატასტროფულად იმატა საქართველოდან ემიგრირებულ ხალხთა რიცხვმა, რომლებიც მზად არიან მიიღონ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური თავშესაფარი, რათა თქვენს მიერ განხორციელებული ვერაგული რეპრესიების რისხვას დააღწიონ თავი.

იხ. 4 გვ.

**რა დღეშიც ვართ**

# ხელისუფლების „მოკლე“ მეხსიერება

## ანუ ლეგალიზებული რეკეტის მარწუხებში

**სახელმწიფოსგან გაძარცვული და არაერთგზის მოტყუებულ მეანაბრეთა თემას მიუძღვნა ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ საგანგებო პრესკონფერენცია.**

– საქართველოში ამჟამად კომერციული ბანკების მიერ „შავ სიებში“ შეტანილია დაახლოებით 200 ათასი კაცი, რომელნიც აღებულ საბანკო კრედიტს მიზეზთა გამო უკან ვეღარ აბრუნებს. ეს ხალხი უკიდურესად მძიმე, ფაქტობრივად, გამოუვალ ფინანსურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, სახელმწიფო ხელისუფლება კი, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში მათ ანაბრებზე რიცხული თანხების დაბრუნებას ჰპირდებოდა, დანაპირები „დაივიწყა“ და ვითომდა არაფერი ხდებაო, ისე უჭირავს თავი, – თქვა ბატონმა კახა ძაგანიამ. – ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას მოუწოდებს გვერდში ამოუდგეს უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს, რომელიც ამ მდგომარეობაში დიდწილად ფორსმაჟორული ვითარების წყალობით აღმოჩნდა, კერძოდ, შარშანდელი რუსეთის აგრესიის შედეგად და ანაბრებზე რიცხული თანხებით დაეხმაროს კრედიტორებს კომპანიების ვალების საანაბრო თანხებით დაფარვაში.

– წინააღმდეგ შემთხვევაში ლეიბორისტული პარტია მხარში ამოუდგება ამ ზღვა ხალხს და საშუალებას არ მისცემს კომპანიების მიერ დაქირავებულ გარკვეული „პროფილის“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, რომლებიც ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით აიძულებენ კრედიტორებს ვალების დაბრუნებას, კვლავაც განაგრძონ თანამოქალაქეთა დაწიოკება, – დასძინა ბატონმა ძაგანიამ და ეს საზოგადოებებიც დაასახელა: „საიმედო აუქციონი“ (საალსრულებოძ, „კაპტო რეალითი“, „თრიბა“, „აქტივების მართვის ჯგუფი“, „PIM ჯგუფი“ და სხვ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ამ საზოგადოებების მიღმა, შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში, სახელმწიფო და ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნები დგანან, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ კრედიტორთა ხელის გამართვა კი ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოს მთავრობის პრაქტიკაშია მიღებული.

– ჩემს სამუშაო ოთახში ახლაც ჰკიდია ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო პლაკატი, სადაც სხვა დანაპირებებს შორის მეანაბრეთათვის კუთვნილი თანხების დაბრუნების პირობაც არის, რომელიც ახლანდელ მთავრობას, რატომღაც, აღარ „აწყობს“, – თქვა კახა ძაგანიამ დასასრულ, – მაგრამ ყველაფერი ამომრჩევლებს ხომ მაინც ახსოვთ?!

**ოთარ აბრამია**

**ინფორმაცია**

### რამ „მოაჭკვიანა“ რუსეთი?

**პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, ინციდენტების თავიდან აცილებისა და რეაგირების ერთობლივი მექანიზმის შესახებ ჟენევაში მიღწეული შეთანხმება წინ გადადგმული ნაბიჯია.**

**ექსპერტის თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადება, რომ მოსკოვი შეთანხმების შესრულებას არ აპირებს, მხოლოდ მისი ვერსიაა, ვინაიდან რუსეთის თანხმობითვე შეთანხმება უკვე მიღწეულია.**

**„ჟენევის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმება წინ გადადგმული ნაბიჯია. რუსეთისგან მოსალოდნელი უფრო პროცესის გაჭიანურება იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ეკონომიკურად სუსტდება, ახლა დასავლეთთან მაგიდაზე ხელის ბრახუნი არ აწყობს“, – მიიჩნევს რამაზ საყვარელიძე.**

ინტერპრესნიუსი

**მიმართვა**

# გოჩა ქასოხოვი: პრეზიდენტო, ნუ შეურაცხყოფთ ერს!

(მესამე გვერდიდან)

იმაზე მეტი გენოციდი რაღა გინდათ, როდესაც ადამიანები თვითგადარჩენის მიზნით იცვლიან გვარებს, ეროვნებას და სხვა ქვეყნების მოქალაქეები ხდებიან. ეს ყველაფერი თქვენ გაუკეთეთ თქვენს ხალხს და ამაზე სერიოზული დაფიქრება გჭირდებათ, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან.

ყოველთვის გღალატობდათ ნერვები, ბატონო მიხეილ და ვერ აიტანეთ ქვეყანაში ახალი რეალობის მიერ შექმნილი ავტორიტეტები, ბიზნესმენი იქნებოდა, ხელოვანი, პოლიტიკოსი თუ საზოგადო მოღვაწე და მათი ჩაძირვა და განადგურება დაიწყეთ.

მე მჯეროდა, რომ ყოველთვის იყავით გუნდური პრინციპების, ადამიანების გაერთიანებისა და ერთობლივი აზრის მომხრე, შემდგომში კი, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თქვენ მხოლოდ მონური ფსიქოლოგიით დაავადებულ ადამიანთა ჯგუფს შეეგუებით, რომლებიც თქვენ მიერ გაცემულ ყველა უკანონო ბრძანებას შეასრულებენ.

ერთი რამაა კიდევ გასაკვირი, ბატონო მიხეილ, ყველა ის ადამიანი, რომელიც იყო თქვენი თანაგუნდელი, თქვენი თანამოაზრე, თქვენგან განდგომის შემდეგ რატომ ხდებოდა „ქართველი ერის მტერი და ქვეყნის მოღალატე“. ნუთუ თქვენზე ნაკლებად უყვარდათ ან უყვართ მათ საქართველო, ან თქვენზე ნაკლები გაუკეთებიათ მათ საკუთარი ქვეყნისთვის. ყველა მათგანი საქართველოს ღირსეული შვილია და არა ისე, როგორც თქვენ ხატავთ ხალხის თვალში. ისინი ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ თქვენს აღვირახსნილ არაკანონიერ მოქმედებებს, არასწორ გადაწყვეტილებებს, ხელი შეეშალათ თქვენთვის კიდევ და კიდევ შემდგომი ბოროტების ჩადენაში და ამით როგორმე დაეცვათ ქვეყანაში არსებული სულიერი და მატერიალური ფასეულობანი.

არც იმ ებრაელ კაცთან იყავით მართალი, რომელიც ცდილობდა ქვეყანას გვერდში დადგომოდა, თავისი წვლილი შეეტანა მის მშენებლობაში.

ბევრჯერ გვქონია საუბარი, მეთანხმებოდით. ბოლოს მაინც რჩებოდით საკუთარი პოლიტიკური ამბიციების მონა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდით. ადვილად ყვებოდით ყველა ჭორსა და დასმენას და იღებდით პოლიტიკურად არასწორ გადაწყვეტილებებს, რითაც ხდებოდა სახელმწიფო ინტერესების დასუსტება და ვნება.

პარადოქსია, მაგრამ უტყუარი ფაქტია: ოსების წინაშე ორივეჯერ, როგორც 2004-ის აგვისტოში, ისე 2008 წლის აგვისტოშიც თქვენი ბრძანებით დაიღვარა უდანაშაულო ძმათა სისხლი. იმის მაგივრად, რომ ვაჟკაცურად გეღიარებინათ და გეპოვათ ღირსეული და პოლიტიკური გამოსავალი, მხდალმა, ერთხელ ოქრუაშვილი ნახეთ განტევების ვაცი, მეორედ – ყურაშვილი გამოიყვანეთ ბართლომეს ღამის შემოქმედად. თუმცა, თქვენგან არაა გასაკვირი, კაცი თავის ხალხს არჩევანის უფლებას რომ წაართმევს და მოპარული ხმებით საკუთარ პოლიტიკურ კარიერას აიწყობს, მისგან სხვას რას უნდა ელოდე. 2008 წლის 5 იანვარს რაც მოხდა, კარგად იცით თავად და შემდგომში მადლიერება როგორ გამოხატეთ, ამაზე მაღალი ღმერთი იყოს ყველას განმსჯელი.

ყველა თქვენი მოქმედება, რაც წამოიწყეთ ჩემსა და ჩემი ოჯახის მიმართ, პირველივე დღიდან თანაგრძნობით განაწყობდა ყველას ჩემს მიმართ, თქვენი გარემოცვის ჩათვლით. ყველა მითითება (რა თქმა უნდა, უკანონოძ, რასაც თუნდაც მანქანიდან იძლეოდით ჩემს წინაამდეგ, ზუსტად წუთებში ხდებოდა ჩემთვის ცნობილი. ვერავინ მალავდა გაკვირვებას, შეშფოთებას, თუ რატომ ხდებოდა ასე, თუ რატომ ფასდებოდა ამგვარად ქვეყნის პირველი პირის მხრიდან მართლაც და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ერთ-ერთი უბრალო ადამიანის ღვაწლი და ამაგი. გაკვირვებული იყო მთელი ქვეყანა, თუ რად ხდებოდა რეპრესიების მსხვერპლი კომპანია, რომელსაც წლების განმავლობაში თავისი დიდი წვლილი შეჰქონდა სახელმწიფოს ეკონომიკის განმტკიცების საქმეში, ათობით მილიონი ქვეყნის ბიუჯეტში, ათასობით დასაქმებული ადამიანი, დაუყველრებელი და გაუხმაურებელი ქველმოქმედება, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი და ამუშავებული ფაბრიკა-ქარხნები, შეკეთებული და რესტავრირებული ეკლესია-მონასტრები, რამდენიმე თვეში რეკონსტრუირებული ეროვნული სტადიონი და კიდევ მრავალი და მრავალი სხვა.

თქვენი უგუნურობით, არასწორი მოქმედებებით, თქვენ მიერ ბოროტებაზე და ღვარძლზე დაფუძნებული უკანონო ბრძანებებით დღეს ყველაფერი, რასაც ბევრი კარგის მოტანა შეეძლო ქვეყნისთვის, ხალხისთვის, გაჩერებულია და პარალიზებულია. ბოლშევიკური სულისკვეთებითა და შემართებით ცდილობთ, ჩემი ოჯახის მიერ პატიოსანი, საკუთარი შრომით შექმნილი ქონება, ყველანაირი კანონიერების გარეშე გაასხვისოთ ადამიანებზე, შეცდომაში შეიყვანოთ ისინი და ამით კიდევ ახალ ბოროტებას დაუდოთ მომავალში სათავე.

ნუთუ აღარ არსებობს თქვენთვის სამართალი, ნუთუ აღარ გეშინიათ ღვთის რისხვის. ერთს შეგახსენებთ, ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ ყველაფერი. მომავალი განსჯის ყველას და ყველაფერს. მას შემდეგ, რაც ჩაიდინეთ, გამოდიხართ ტელევიზიით და ხალხს თავს ახვევთ თავად თქვენთვისაც გაუგებარ დემაგოგიას, რაც ყველანაირი ეთიკის ნორმებს სცილდება. ხალხის მხრიდან თქვენი მისამართით დასმული ყველა შეკითხვა ყოველთვის იგნორირებული და პასუხგაუცემელია. სულ ცდილობთ, გვერდი აუაროთ მასებიდან წამოსულ გამოძახილს, ტკივილს, მუდარას და ისევ და ისევ თქვენი უაზრო, დამღუპველი ავანტიურა მოახვიოთ ქვეყანას თავს. უკვე რამდენი წელია აკეთებთ ამას. იმის მაგივრად, რომ ხალხისთვის შეგემსუბუქებინათ თქვენ მიერვე დატრიალებული ტრაგედიის გასაჭირი, გამოავლინეთ მხდალი პოლიტიკოსის ყველა მანკიერი თვისება და თქვენი სამარცხვინო ქცევით უკიდურესად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთ ისედაც გზააბნეული და შეურაცხყოფილი ერი. მე ზოგიერთებივით ვერ ვიტყვი, რომ ბოლო თეთრამდე გავყიდი ყველაფერს და თქვენ წინააღმდეგ გავაჩაღებ ბრძოლას, ან კიდევ იმას, თუ როგორ ჩაგხედავთ თვალებში ტაილანდის თუ მაიამის პლაჟებზე, რა დროც არ უნდა გავიდეს, ერთს გაგახსენებთ მხოლოდ, 2003 წელს ბოლნისში საარჩევნო ვოიაჟის დროს ერთი ღირსეული კაცის მიერ წინასწარნამეტყველებს, რაც არ აგცდებათ!..

თქვენ ყოველთვის იდეალად გყავდათ შარლ დე გოლი და მუსტაფა ქემალ ათათურქი , როგორც პოლიტიკოსები და ქვეყნის ლიდერები, მაგრამ ვერ შეისისხლხორცეთ მათი პრინციპები, ის, რომ თითოეულმა მათგანმა საკუთარი ხალხების კეთილდღეობა და მომავალი დააყენა პირადულზე წინ.

მე არ ვარ ის ადამიანი, ბატონო მიხეილ, საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანო ჩვენ შორის პირისპირ, კერძო საუბრების დროს თქვენ მიერ „გაჟღერებული“ აზრები და ამით მავანს სენსაციური აღმოჩენების, სკანდალური სჯა-ბაასის საშუალება მივცე. ერთს კი გეტყვით და მოგიწოდებთ, სანამ ჯერ კიდევ არის დრო, დრო შემობრუნებისა სიკეთისკენ და ჭეშმარიტებისკენ, იპოვოთ ძალა საკუთარ თავში, როგორც პიროვნებაში და მიიღოთ ღირსეული გადაწყვეტილება, როგორც თქვენთვის, ასევე ქვეყნისთვის და გადადგეთ... მიეცით ხალხს თვითგამორკვევის საშუალება, იმის არჩევის უფლება, თუ რა გზით იარონ მომავალში. ასეთი გადაწყვეტილებით დიდ საქმეს გაუკეთებთ თქვენს შვილებს. მოეგეთ გონს, ნუ გახლეჩთ ერს, ნუ შექმნით დაქსაქსულობას. შეისმინეთ პატრიარქის მიერ ნათქვამი ბიბლიური სიტყვები: „ვინც უთხრის სხვას საფლავს, მას მეორე საფლავის გათხრაც მოუწევს. მახვილით მოსული მახვილითვეა წარმავალი“. გაანადგურო, არ ნიშნავს გაიმარჯვო. ჩვენ ქვეყანაში ღირსეული ადამიანების უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი სამართალს შეჰღაღადებს ზეცაში და მათი სულები ღმერთს საქართველოს მომავალს ავედრებენ.

იპოვეთ ძალა თქვენში და მოეგეთ გონს. ამ გადაწყვეტილებით იქნებ მომავალში შეძლოთ საკუთარი პიროვნების პოლიტიკური და ადამიანური რეაბილიტაცია. დაე, ხალხმა, ერმა თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი ბედი, თვითონ აირჩიოს ჭეშმარიტი სწორი გზა, რომელიც საქართველოს, მასში მცხოვრებ ყველა ერისა და რჯულის წარმომადგენელს სამშვიდობოზე გაიყვანს, რამეთუ კეთილდღეობას, მშვიდობას, ბედნიერ თანაცხოვრებას საქართველო, მისი ყველა მოქალაქე ნამდვილად იმსახურებს.

მაღალი ღმერთი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი!

(სტილი დაცულია)

**ხმა გურიიდან**

# ვითომ კარგად ვცხოვრობთ?

## ანუ რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, ჰალვა, ჰალვაო, პირში სიტკბოს ვერ ვიგრძნობთ

**ანეკდოტის არ იყოს, ორი ამბავი უნდა გითხრათ, ერთი კარგი და მეორე ცუდი.**

**დავიწყებ კარგით. ნამდვილად რომ პრეზიდენტის დამსახურებაა თუ დღეს გზები გვაქვს და სინათლე, აღარ არიან კანონიერი და ნაკლებად უკანონო ქურდები, წესრიგია და გვყავს პოლიცია და ჯარი. ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსა და აქვს საკმაოდ კარგი ფასადი.**

ახლა ცუდიც. რა ხდება შიგნით? ამას წინათ პირდაპირი სატელევიზიო ეთერით, შეკითხვებზე პასუხის დროს მანვე გვითხრა, რომ შევარდნაძის დროს ღარიბების და ღატაკების რიცხვი 55 პროცენტს აღწევდა, დღეს კი მხოლოდ ოციაო!!

ჩემს ჩაბნელებულ ქუჩაზე, იმიტომ რომ ცენტრში არ არის და არავის არ აწუხებს, ცხოვრობს 88 კაცი. აქედან 20 პენსიონერია (დანარჩენი უდროოდ უფალს ჩაბარდაძ, 34 უმუშევარია, 20 ბავშვია და 14 დასაქმებული.

ის 14 დასაქმებული რა ხელფასს იღებს და როგორ ცხოვრობს, ვერ გეტყვით, ყველა შემთხვევაში ჩაფუნთუშებულებს არ გვანან.

ის 34 უმუშევარი რომ ღარიბი და ღატაკია, იმედია არავის არ გეპარებათ ეჭვი.

საეჭვოა მხოლოდ 20 პენსიონერი. მთავრობის მტკიცებით 80 ლარი საკმარისია კვებისა და წამლებისთვისო! და რა? – შიშველმა უნდა ვიაროთ ან უშეშოდ გავიყინოთ?

წამალი? ჰოდა, იმ 20 პენსიონერიდან 13 კაცია და ცხრა ავადმყოფობს ადენომით. მკურნალობისთვის ყოველთვიურად საჭიროა 90 ლარი, ე. ი. პენსია ვერც მოგბარჩენს და ვერც გაგაძღებს. ისღა დაგრჩენია ჩაბარდე უფალს, მაგრამ შენი არჩევანის თანახმად, ან ვითომ მაძღარი და ადენომით, ან ვითომ ჯანმრთელი და შიმშილით.



ანეკდოტი გამახსენდა: – მდიდარმა ამერიკელმა მოგზაურობის დროს, მექსიკაში მასავით ადენომით ავადმყოფი ინდიელი გაიცნო და ჰკითხა: – თქვენ ინდიელები ცნობილი მკურნალები ხართ და ნუთუ არაფერი წამალი არ იცითო?! როგორ არა, ვიცით, თხის გამხმარი კურკლი უნდა ჭამოო! მერე ჭამთო! არა, გვირჩევნია გვტკიოდესო.

არ ვიცი ხმარობს ჩემი მეზობლები კურკლს თუ არა, თუმცა სადაა თხა და სადაა კურკლი, მაგიხელისუფლებისთვისაა კრიზისი მხოლოდ წელს, ჩემი მეზობლებისთვის კი უკვე 20 წელია სიდუხჭირე ეზოებიდან არ გადადის.

ჰოდა, ქე გამოვიდა იმ 88 კაციდან 34 უმუშევარი და 20 ღარიბ-ღატაკი პენსიონერი, სულ 55 პროცენტი მომათხოვრო ქართველები, იგივე რაც შევარდნაძის დროს იყო. ასე რომ, რამდენიც არ უნდა ვიძახოთ – ჰალვა, ჰალვაო, პირში სიტკბოს ვერ ვიგრძნობთ. **გვპირდებიან, მომავალში ნამდვილად გეშველებათო! ცდას მიჩვეულები ვართ, მაგრამ დაახლოებით მაინც გვითხარით როდის?, სააქაოს თუ საიქიოს.**

დაბოლოს, არ შემიძლია არ შევჩერდე ღვინის პრობლემაზე, ფრანგები მარტო ერთი ჯიშის ღვინოს ბოჟოლეს საექსპორტოდ ყოველ წელს 80 მილიონ ბოთლამდე ყიდიან. რამდენს თავად სვამენ, ან რამდენი აქვთ სხვა შარდონეები, სოვინიონები, კაბერნეები, შირაზები, ტერანეები და ბევრი სხვა კარგი, მე არ ვიცი. მე ვიცი, რომ ჩვენ ცუდიან-კარგიანად მხოლოდ 50 მილიონ ბოთლამდე გვაქვს და სულზე მოდის 10 ბოთლი. მე პირადად 100 ბოთლამდე ვსვამ და როგორც გენიოსმა თქვა – „ღმერთმა ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო“, და ქე დამიტოვებია 10 ქართველი უღვინოდ.

მახსოვს, ჩემი სტუდენტობის დროს წინანდალი და გურჯაანი მოსკოვშიც მანეთი და ოთხმოცი კაპიკი ღირდა და მახარაძეშიც, ნახევარ საქართველოს კომუნისტების დრომ დაამახსოვრა ღვინის სუნიც და გემოც, რა აზრი ჰქონდა ექსპორტს და ვის ჰყოფნიდა ეს ღვინო! ამიტომაც შემოგვქონდა „ვინ დელ მასსე“ და „აბდელ მასსე“, აზერბაიჯანული პორტვეინები და ბევრი სხვა საშინელებები. ქეიფობდნენ გურულები, სვამდნენ შამპანურებს, იგონებდნენ დუ-იაქეს და სე-იაქეს, სასადილოები და რესტორნები გავსებული იყო ხალხით.

ბატონო პრეზიდენტო, სადაა პრობლემა?? გურულები ბევრი არა ვართ, ამბობენ, 150 ათასამდეო, ჩვენ ხელფასი მოგვეცით და მაგ 50 მილიონი ბოთლისგან და დიდი პრობლემისგან ნახევარ წელიწადში აუცილებლად გაგათავისუფლებთ, ღვინო გვაქვს მონატრებული და მაქამდე რამენაირად გავწელავთ, ისე კი სამ თვეშიც გიშველიდით. თქვენ კი მარტო ერთი პატარა პრობლემა დაგრჩებოდათ – რა ასვათ დანარჩენ 5 მილიონს! მეტი არაფერი.

**თეიმურაზ კილაძე,**
**ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

## შარო, საიდან მოდიხარ?!.

# აქა ამბავი ვინმე გიორგი ანდრიაძის ძეგლთმლეწაობისა,

## ანუ როგორ გახდა იგი თავისივე „ანტიქართველთა ათეულის" პროექტის ერთ-ერთი პირველი ნომინანტი



ამ ბოლო ორშაბათს „ასავალ-დასავალმა" კიდევ ერთი ახალი ქართველი ჰეროსტრატე გაგვაცნო (რისთვისაც უთუოდ მადლობა ეკუთვნის!ძ დღემდე არცთუ მთლად უჩინო წვეროსნისა და ჩოხოსნის გიორგი ანდრიაძის სახით. აქამდე თუ სამი გიორგი (ბარამიძე, ნოდია, თევზაძეძ გორში იოსებ სტალინის ძეგლის ასაღებად იკლავს თავს, ახლა მეოთხე გიორგი (ანდრიაძეძ, ქართული ისტორიის თავის მრუდე თარგზე შემსწორებელმა უკვე თავისი სეხნიის გიორგი სააკაძის ძეგლის სასწრაფოდ „დალეწვა" მოითხოვა.

ღმერთმანი, არ ვაჭარბებ, თქვენი თვალით წაიკითხეთ რა „სიბრძნესაც" ის გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში აფრქვევს: ***„საზოგადოება უნდა იცნობდეს თავის გმირებსაც და ანტიგმირებსაც. ყველა დროის ყველა მტრის მთავარი მიზანი იყო ცრუ ავტორიტეტების შექმნა, რომლებიც დაპყრობილ საზოგადოებას ღირებულებებსა და ცნობიერებას შეუცვლიდნენ. აქედან გამომდინარე, მტრის სამსახურში მყოფი მოყვარე ხშირად მტერზე უარეს ზიანს აყენებდა ჩვენს ქვეყანას. ვიდრე ამას არ განვსაზღვრავთ, ვიდრე ქალაქის ცენტრში იდგება სააკაძის ძეგლი, ხალხს ეგონება, რომ თავის გადასარჩენად შეიძლება ორჯერ შეიცვალო რჯული, შეიძლება იძრომიალო ხან ისპაჰანში და ხან სტამბულში, მოაწყო ბაზალეთის ომი და მაინც გმირი იყო".***

აი ხედავთ, რაც ჩვენმა ხალხმა თურმე მთელი ოთხი საუკუნის სიგრძეზე ვერ განსაზღვრა, მხოლოდ გიორგი ანდრიაძემ „დაინახა" და გვმოძღვრავს, სანამ ქალაქში ეს ძეგლი იდგება, ყველა ძაღლი და მამაძაღლი გმირი გეგონებათო...

კი, ბატონო, თუკი გორში იოსების ძეგლის მოთხრით, ხოლო თბილისში გიორგის ძეგლის დალეწვით და დავითის (ალმაშენებელზე მოგახსენებთ!ძ ძეგლის წინ და უკან „ჭენებით" რამე გვეშველება, ჩანს, მთელი ჩვენი უბედურების მიზეზიც ეს ყოფილა, ეს ჩვენი ძეგლთაყვანისმცემლობა, ამიტომ ავდგეთ და დავერიოთ, სადაც რა ძეგლი დგას საქართველოში, სულ მივანგრ-მოვანგრიოთ, ამაზე ადვილი რა არის?! თანაც, მით უმეტეს, თუ ერთხელ და სამუდამოდ გვეშველება! არადა, როგორც ჩანს, კაციშვილმა არ იცის, ამჟამინდელ გმირს ხვალ ვინ რა მიზეზს უპოვის ანტიგმირად გამოსაცხადებლად, ამიტომაც განა უმჯობესი არ არის, რომ საერთოდ შევეშვათ ძეგლების დადგმას და ჩვენს დიდოსტატ მერაბ ბერძენიშვილსაც სხვა ხელობისთვის ხელის მოკიდება ვურჩიოთ?! ყოველ შემთხვევაში, გიორგი ანდრიაძის ლოგიკა თუ ანტილოგიკა აქეთკენ გვიბიძგებს...

ისე, კაცმა რომ თქვას, თვითონ ეს გიორგი ანდრიაძე ვინ ბრძანდება? როგორც „ასავალ-დასავალიდან" ჩანს ამ კაცის ასავალ-დასავალი, ტელემაუწყებლობა „ივერიის" ხელმძღვანელი ყოფილა. „ივერია" საპატრიარქოს პატრონატით (და არა პატრონაჟით!ძ თურმე მაუწყებლობდა ტელეკომპანია „ევრიკას" სიხშირეზე, რისთვისაც 10 ათასი აშშ დოლარი უხდია, რისი შესაძლებლობაც საპატრიარქოს არ ჰქონია, და როდესაც „ივერიას" ცალკე სიხშირე მოუთხოვია, მაგრამ მარეგულირებელ კომისიას უარი უთქვამს, „ივერია" საპატრიარქოს პატრონატიდან (და არა პატრონაჟიდან!ძ გამოსულა. მიუხედავად იმისა, რომ კორესპონდენტი ჯიუტად ეკითხება, დააკონკრეტეთ, საპატრიარქო ითხოვდა სიხშირეს თავისი მაუწყებლობისთვის და უარი უთხრეს თუ თქვენ ითხოვდითო. ანდრიაძე ასევე ჯიუტად ცრუობს და გაზეთის მკითხველს, ანუ საზოგადოებას, არ აგებინებს, რომ ის თავის შპს „ივერიანად" მიტმასნილი იყო საპატრიარქოს, რომ საპატრიარქოს აქვს თავისი არხი „ერთსულოვნება", რომელიც ისევ „ევრიკის" სიხშირეზე მაუწყებლობს ამჟამადაც.

(თვითონ ანდრიაძე არასოდეს არ ყოფილა ერთსულ და ერთხორც, ანუ ერთსულოვანი საპატრიარქოსთან და სწორედ ამიტომაც აღმოჩნდა საპატრიარქოს გარეთ. დიახაც საპატრიარქოსთან თავისმა ფარულმა არაერთსულოვნებამ მიიყვანა იგი აქამდე და არა მხოლოდ იმან, რომ „სააკაშვილს აქვს პანიკური შიში ყოველი სიტყვისა, რომელიც შეიძლება თავისუფალ ეთერში გავიდეს".

რაც შეეხება გიორგი სააკაძის ანდრიაძისეულ ანტიქართველობასა და ანტიგმირობას, ეს იმდენადვე შეეფერება სინამდვილეს, რამდენადაც სიმართლეა თვითონ გიორგი ანდრიაძის ეკლესიურობისა და მოქალაქეობრივი პატიოსნების ის „სიხშირე", რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

*ისტორიული თვალთახედვის სიბეცესთან ერთად, რაც აგრერიგად ახასიათებს ამ ძალადმაცხონე ვითომ საეკლესიო პირს, იგი არც გულუბრყვილო მკითხველისა თუ მაყურებლის განგებ დაბნევას ერიდება. ამ აწ უკვე ტელეარხდაკარგული, მაგრამ ინტერნეტის იმედად დარჩენილი „ივერიის" ხელმძღვანელის აზრით, სააკაძე, არც მეტი და არც ნაკლები, იყო თურმე* ***„სტალინის საყვარელი „პერსონაჟი", სწორედ მისი დაკვეთით გადაიღეს ფილმი „გიორგი სააკაძე". დიდი ქართველი ისტორიკოსების ჯავახიშვილისა და ბერძენიშვილის მოსაზრებით, სააკაძე იყო ჩვეულებრივი ფეოდალი, რომელიც საკუთარი თავისთვის იბრძოდა, მაგრამ ეს ყველაფერი სტალინის შეკვეთით გადაღებული ფილმის შემდეგ გაქრა. იგი იყო შევარდნაძის საყვარელი პერსონაჟიც, პირველი, რაც მან გააკეთა, სააკაძის ძეგლი დადგა თბილისში. ეს არის სააკაშვილის საყვარელი პერსონაჟი, იმიტომ, რომ ისინი ერთი და იგივე ტიპები არიან, მისთვის მისაღებია, რომ იძრომიალოს ხან მოსკოვში და ხან ვაშინგტონში, პირადი ინტერესებისთვის მოაწყოს ომი, შეიწიროს ქართველები".***

ვინც ჩვენს ისტორიას ასე თუ ისე იცნობს, უმალ მიხვდება, რა ბოროტი უმეცრების გზასაც ადგას ეს პოლიტიკური ეშმაკისგან შეჩვენებული „ივერიელი", თუმცა თავად ჩვენს ისტორიაში ან სრულიად ჩაუხედავ, ანდა ნაკლებად ჩახედულთა მოიმედედ დარჩენილი ჩანს, რადგან რა უნდოდა მაშინ სტალინს (შევარდნაძესა და სააკაშვილს თავი რომ დავანებოთძ, როცა ქართველმა ხალხმა დიდი მოურავი უწოდა სამოთხისკენ ჯოჯოხეთის გზით მავალ გიორგი სააკაძეს, რომელმაც მტრისგან შვილის მოჭრილი თავის სახით თავისი კაცობის მარად გაუხუნარი საბუთი დაუტოვა შთამომავლობას. ეს კი, ეს ჩვენი დროის ახალი ჰეროსტრატე, დამდგარა და, აქაოდა გვარები ფონეტიკურად ჰგვანან ერთმანეთსო, სააკაძეს ადრის სააკაშვილს, რომლისაც ვითომ დამცრობა და დაკნინება გადაუწყვეტია, სინამდვილეში კი ამ შედარებით თავისდა უნებურად უზომოდ განადიდებს.

აი სწორედ ამისთანა შემდარებელზე და ამისთანა შედარებაზე უთქვამთ ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს დროს, როცა თეკლე ერეკლეში აერიათ, სად ერეკლე და სად თეკლეო.

ისე, როცა ჩვენს ისტორიულ პერსონაჟებს ვაფასებთ, მე უფრო ძველ ქართველებს ვუჯერებ, რადგან გიორგი ანდრიაძისგან განსხვავებით, იმათ მართლა უყვარდათ თავიანთი ქვეყანა და, ისევ გიორგი ანდრიაძისგან განსხვავებით, ისტორიულ გმირებს ვილაც-ვილაცათაგან ჰაიჰარად წამოსროლილი სიტყვებით არ „ამკობდნენ". აი, მაგალითად, რას წერდა ილია ჭავჭავაძე გიორგი ანდრიაძის „ანტიქართველთა ათეულის" ამ ერთ-ერთ პირველ ნომინანტ გიორგი სააკაძეზე: ***„დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალგუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავზნეობისა ბევრს მეტოქესა და მოშურნეს მოუგროვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდბუნებიანობა. ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ამ სახელოვანს დიდ მოურავსა მრავალი მტერი აუჩნდა".***

აღარაფერს ვამბობ ვაჟა-ფშაველას ცნობილ ლექსზე, რომელიც მან გიორგი სააკაძის სურათს მიაწერა.

მადლობა ღმერთს, ჩვენი ისტორიული მეცნიერება დღეს იმ დონეზეა, რომ შუმ დილეტანტობას დიდი გასავალი აღარა აქვს, თუმცა ეს დილეტანტობა ხან მთელი ქვეყნის სირცხვილადაც მოჩანს. ასე იყო, მაგალითად, როცა პრეზიდენტმა თამარ მეფეს ოსობა დააბრალა და ფარისევლურად წითელი კოჭი გაუგორა ჩვენს „გაყრილ" ოს ძმებს. გიორგი ანდრიაძის ბოროტი დილეტანტობის გამო საკითხში მეტის ჩაღრმავების მიზნით, კომენტარი ვთხოვე პროფესორ **გივი ჯამბურიას**, რომელმაც თავისი 85 წლიდან თითქმის 60 წელიწადი ამ დიდი „ანტიქართველის", ანუ გიორგი სააკაძის ცხოვრების შესწავლას მოანდომა.

*— გიორგი სააკაძე უდავოდ დიდი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი მხედართმთავარი იყო, რომლის ხელმძღვანელობით წარმოებული უმაგალითო გმირული ბრძოლების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა,* — მეუბნება ბატონი გივი, — *ქართველმა ხალხმა ჯეროვნად დააფასა სააკაძის ღვაწლი და დიდი („დიდი მოურავი", „დიდი სააკაძე") უწოდა.*

*არჩილ მეფემ და XVII ს.ცნობილმა პოეტმა ტფილელმა, რომელთაც დოკუმენტური სიზუსტით აღწერეს გიორგი სააკაძის ცხოვრების მთავარი მომენტები, მრავალი აღტაცებული პოეტური სტრიქონი უძღვნეს და სახალხო გმირის გვირგვინიც დაადგეს.*

*არჩილმა შთამომავლობას მიმართა: „აწ ეს ჰქენით, ქართველებო, ანდერძივით შვილს ეტყოდეთ" სააკაძის ამბავსაო (მხედველობაში აქვს მარტყოფის აჯანყება).*

*იოსებ ტფილელმა თავისი პოემა „დიდმოურავიანი" არჩილ მეფის დავალებით დაწერა. ტფილელი გიორგი სააკაძეს ხატავს როგორც სახალხო გმირს, რომელმაც „ქართლს მოავლო გალავანი" და სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა პირადი ბედნიერება. ორი შვილისა და საკუთარი სიცოცხლე გიორგი სააკაძე ცდილობდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას და დიდ ფეოდალთა უფლებების შეზღუდვას. ამის გამო სააკაძის „მოკიდებულნი" (ანუ მისი მომხრე დასი), რომელშიც აზნაურთა გარდა, დიდ თავადთა ერთი ჯგუფიც შედიოდა, გმირად სახავდა, მოწინააღმდეგენი კი მოღალატედ აცხადებდნენ. ეს იყო ფეოდალთა შინაბრძოლა ორ ურთიერთმოწინააღმდეგე ფრთას შორის.*


ვინ და რატომ აპირებს „ანტიქართველთა ათეულში" გიორგი სააკაძის შეყვანას!

*პირველი წერილობითი კრიტიკა გიორგი სააკაძისა ქართულ ისტორიოგრაფიაში XVIII ს.ისტორიკოსის ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში გვხვდება. ის სააკაძის ღვაწლსაც არ მალავს, მაგრამ შაჰ-აბასის საქართველოში მოყვანას აბრალებს. ზოგიერთი ამჟამინდელი თავგახურებული ქართველისა არ იყოს, ის აქ მთლიანად იმეორებს XVII ს-ის სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის ვერსიას, რომელიც აშკარად მცდარია. როგორც ჩანს, არაქელ თავრიზელის ინფორმატორი სააკაძის მოწინააღმდეგე ბანაკის კაცი იყო, თანაც დიდგვაროვანი. აქედან უნდა მომდინარეობდეს არაქელ თავრიზელის ცნობა, რომ თითქოს გიორგი სააკაძე „დაბალი ხალხიდან იყო, რომელსაც ქართველები გლეხებს უწოდებენ". აქვე მოთხრობილია სააკაძის მოღალატეობაზე მეფისა და სამშობლოს მიმართ. ბოროტი დეზინფორმატორისგან მიღებული ეს ცნობები შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაშიც გადავიდა (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, ანტონი...).*

*მაგრამ ქართველმა ხალხმა თავიდანვე არ გაიზიარა XVIII საუკუნის ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ შემუშავებული უარყოფითი აზრი გიორგი სააკაძეზე. სააკაძისადმი ხალხის სიყვარულის გამოხატულებაა ის მრავალი ხელნაწერი (და მინაწერები), რომელიც XVIII და XIX საუკუნეების პირველ ნახევარშია გადაწერილი. შადიმანი და „შადიმანიზმი" კი დღესაც მოღალატის სინონიმად იხმარება ხალხში.*

*არჩილ მეფისა და იოსებ ტფილელის მიერ სააკაძის შეფასება არსებითად გაიზიარეს XIX ს.მოწინავე მოაზროვნეებმა და, განსაკუთრებით ჩვენმა დიდმა დემოკრატებმა — ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, ან. ფურცელაძემ... გაზიარებულია ეს აზრი თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერაც (ნ.ბერძენიშვილი, კ.კეკელიძე, გ.ლეონიძე, დ.გვრიტიშვილი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები: ჯ.ღვინჯილია, ლ.სანიკიძე, რ.ფირცხალაიშვილი).*

*დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შაჰ-აბასს მხოლოდ ქართლ-კახეთის მოსახლეობის მოსპობა კი არ სურდა, არამედ აღმოსავლეთის ქრისტიანული მოსახლეობის მთლიანად მოსპობა. მან ჯერ კიდევ 1604-05 წლებში სომხეთიდან გადაასახლა დაახლოებით 400 ათასამდე სომეხი. მათ შორის ქალაქების ჯულფისა და ნახიჭევანის მოსახლეობა. აგრეთვე მდ.არაქსის მარცხენა ნაპირის სოფლების მოსახლეობა, რომლის ერთი ნაწილიც გზაში დაიღუპა (ნაწილი კი უფრო გვიან ერევნის მმართელმა ამირგუნე-ხანმა უკან დააბრუნა). ასევე აზერბაიჯანიდან გადაასახლა დაახლოებით 50 000 ქრისტიანი. შაჰ-აბასს სურდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქრისტიანული მოსახლეობის სრული მოსპობა და აქ მაჰმადიანური ტომების ჩამოსახლება. ამ საზარელი გეგმის ჩაშლაში უდიდესი როლი შეასრულა სწორედ გიორგი სააკაძემ.*

საგაზეთო წერილში მეტის თქმა ნამდვილად შეუძლებელია. პირდაპირ მიკვირს და გამკვირვებია, რატომ ერწმუნება ასე ჯიუტად ეს ჩემგან არაპატივცემული გიორგი ანდრიაძე ვინმე არაქელ თავრიზელის ბოროტკაცთაგან ჩასმენილ ვერსიას და არა არჩილ მეფეს, იოსებ ტფილელს, ილია ჭავჭავაძეს, თუნდაც ნიკო ბერძენიშვილს, რომელსაც ზემოთ ყალბად იმოწმებს მიამიტი მკითხველის თვალის ასახვევად და რომლის სახელი და გვარი რედაქტორად აწერია გივი ჯამბურიას წიგნს გიორგი სააკაძეზე, გამოჩენილ ადამიანთა სერიით რომ გამოსცა „ნაკადულმა" ჯერ კიდევ 1964 წელს (სხვათა შორის, გამომცემლობის რედაქტორი ამ წიგნისა ცხონებული რევაზ ინანიშვილიაძ.

ასეა თუ ისე, დაე, თვით ქართველმა მკითხველმა გადაწყვიტოს, ვინ უფრო მეტ ზიანს აყენებს ქვეყანას, ვინ უფრო ანტიქართველია — სამშობლოსთვის შვილგანწირული გიორგი სააკაძე თუ არაქელ თავრიზელის მცდარ გზაზე შემდგარი ტელეარხდაკარგული გიორგი ანდრიაძე, რომელიც ნამდვილად საქმეგამოლეული ჩანს და ამაოდ ეპოტინება მერაბ ბერძენიშვილისეულ ბრწყინვალე ძეგლად ქცეულ გიორგი სააკაძეს საუკუნეებში გაჭენებული მერნიდან ჩამოსაგდებად.

და დასასრულ, სხვას კი უკიჟინებს, მაგრამ ნუთუ თვითონ გიორგი ანდრიაძის ბუნებისთვისაც „სრულიად მიუღებელია მართლმადიდებლური სწავლება და ცხოვრების წესი?!".

მართალია, მთხოვა ჯერ ნუ დაწერო, მაგრამ აქ ბატონი გივი ჯამბურიას ერთი „საიდუმლო" უნდა გავამჟღავნო: ალბათ, მოვა დრო, როცა ქართული ეკლესია გიორგი სააკაძეს სამშობლოს წინაშე უდიდესი ღვაწლდადებისთვის წმინდანად შერაცხავსო... აი, ნეტავი ერთი მაშინ მაჩვენა ეს „ანტიქართველთა ათეულის" უნიჭო პროექტის ავად გაბოროტებული ავტორი, ჩვენს დედაეკლესიას საეჭვოდ მიტმასნილი.

**გურამ გოგიაშვილი**

### ვაჟა-ფშაველა
### გიორგი სააკაძის სურათზე

*ცალკერძ შენა ხარ და შენს პირდაპირ*
*მეორე სახე მე მეხატება*
*შენის ქვეყნისა — საქართველოსი.*
*რამდენი ფიქრი მწვავს, მებადება:*
*თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,*
*კარგი შვილები რად გვებადება?*
*შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,*
*ნამდვილს მშობელსა ეს ეკადრება?*
*ცრემლები მაღრჩობს, ვეღარას ვამბობ,*
*კარგის დაღუპვა რად გვენატრება*
*ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა?!*
*ვეღარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება.*
*ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,*
*არ გეკადრება, არ გეკადრება!..*

## თარიღი

# სახელოვანი მეცნიერის ბარაქიანი შემოდგომა

## რობერტ ადამია — 75



**75 წლისთავი ლამაზ ნიშანსვეტად წარმოჩნდება ადამიანის ცხოვრების გზაზე, მეტადრე მაშინ, როცა ეს გზა სახელოვნად არის გავლილი.**

სწორედ რომ სახელოვნად და ღირსეულად მივიდა ამ ნიშანსვეტთან აკადემიკოსი რობერტ ადამია, გამოყენებითი მექანიკისა და მანქანათმშენებლობის დარგის გამოჩენილი, მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი, მექანიკოსთა და მანქანათმშენებელთა თანამედროვე ქართული მეცნიერული სკოლის თვალსაჩინო ლიდერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სახელმწიფო და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატი.

ბატონი რობერტის „დაუცლელი“ მეცნიერული კალმიდან და ნათელი გონებიდან „გამოვიდა“ 11 მონოგრაფია, 130 სტატია და 13 გამოგონება, მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ათეულობით მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი.

დავუმატოთ ყველაფერ ამას უაღრესად ნაყოფიერივე პედაგოგიური, ორგანიზაციული და საზოგადოებრივი საქმიანობა, იშვიათი ადამიანურ-პიროვნული თვისებები და „შევთანხმდეთ“, რომ ასეთი კაცი 75 წლისთავზე სავსებით იმსახურებდა მდიდრული შინაარსის, მშვენიერი ფორმატის, ჩინებული პოლიგრაფიულობით გამოცემულ წიგნს „რობერტ ადამია“ და იმასაც, რომ ნაშრომი გამოსულიყო ფრიად ავტორიტეტული ხუთმაგი ეგიდით: სმეა, საქართველოს საინჟინრო აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, ქუთაისის სამეცნიერო ცენტრი. ეგებ ამგვარი წიგნად მიძღვნა, პატივისცემით, გულითადობითა თუ სითბოთი აღსავსე, სულაც იუბილარის სიცოცხლეშივე მისთვის წამომართულ ერთგვარ ძეგლად აღვიქვათ...

წიგნს მრავალრიცხოვანი ავტორი ჰყავს და იმათგან, ვინც აკადემიკოს რობერტ ადამიას ამა თუ იმ ფორმით მიაგო ჯეროვანი პატივი, მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფთ საგაზეთო ფართობით შეზღუდული.

**აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, სმეა-ს პრეზიდენტი:**

მექანიკის დარგში მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ თქვენ ერთსულოვნად ხართ აღიარებული, როგორც ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებელი მძიმე მანქანების დინამიკური პროცესების ოპტიმიზაციური სინთეზის სფეროში და როგორც მსოფლიოში ამ დარგის ერთ-ერთი მეწინავე სპეციალისტი...

შთამბეჭდავია თქვენი მოღვაწეობა ქალაქ ქუთაისში, სადაც რამდენიმე წელიწადში თქვენი ხელმძღვანელობით მომზადდა მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრები, ჩამოყალიბდა რამდენიმე სამეცნიერო მიმართულება და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ლაბორატორია, რაც საფუძვლად დაედო ჩვენი აკადემიის ერთ-ერთი მძლავრი დაწესებულების — ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის დაფუძნებას დასავლეთ საქართველოში. ფასდაუდებელია თქვენი საქმიანობა ამ ცენტრის ხელმძღვანელის პოსტზე, რაც აღინიშნა კიდევაც ქალაქ ქუთაისის საპატიო მოქალაქედ თქვენი არჩევით.

თქვენი მეცნიერული ღვაწლისა და შემოქმედების უდიდეს საერთაშორისო აღიარებად წარმოჩნდება იტალიის ქალაქ უდინეში 1990 წელს მსოფლიო მექანიკოსთა საერთაშორისო ცენტრის წევრად არჩევა“...

**აკადემიკოსი ალექსანდრე ცელიკოვი, ლენინური და საბჭოთა კავშირის სამგზის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი:**

„რობერტ ადამია გახლავთ ახალი მეცნიერული მიმართულების ფუძემდებელი მეტალურგიული აღჭურვილობის დინამიკური სინთეზის დარგში...

მაღალია მკვლევარის მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშევართა პრაქტიკული ღირებულება — იმ სამუშაოთა, რომლებიც მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ჯერ კიდევ პირველ ეტაპზეა შესრულებული“...

**აკადემიკოსი იგორ პავლოვი, ლენინური და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი:**

„შემოქმედებითი ნიჭიერებისა და დიდი შრომისუნარიანობის წყალობით რობერტ ადამიამ შედარებით მოკლე დროში თავისი შედეგებით მართლაც არსებითად გაამდიდრა სარწმუნო გადაწყვეტილებისათვის ძნელადმისაწვდომი ერთი სამეცნიერო-ტექნიკური დარგი; არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი ფუნდამენტური საფუძვლები შექმნა. სწორედ ასეთ შეფასებას იმსახურებს, ჩემი აზრით, 1978 წელს გამოცემული რობერტ ადამიას მონოგრაფია „მეტალურგიული მანქანების დინამიკური დატვირთვების ოპტიმიზაცია“. ამ კაპიტალური ნაშრომისათვის, ისევე როგორც რობერტ ადამიას მთელი შემოქმედებისათვის, დამახასიათებელია საკითხების უზარმაზარი მასიდან უმნიშვნელოვანესთა გამოცალკევება ურთიერთკავშირში მათი დიალექტიკური განხილვით“...

**პროფესორი გურამ გაბრიჩიძე, სმეა-ს წევრ-კორესპონდენტი:**

„ბატონი რობერტი პირველად ერთ შეკრებაზე ვნახე — გამოდიოდა მშვენიერი გარეგნობის, ბრწყინვალე თმავარცხნილობის მქონე ახოვანი კაცი და გაუჩერებლად, დიდხანს წარმოსთქვამდა გრძელ ლექსებსა და მონოლოგებს, პიესების ნაწყვეტებს — საოცარი არტისტიზმით, დიდი გრძნობითა და ემოციებით. გავიფიქრე, პოეტი ან მსახიობი ხომ არ არის-მეთქი, აღმოჩნდა კი სრულიად „საპირისპირო“ — მეტალურგი და მანქანათმშენებელი...

შემდგომ არაერთხელ მომისმენია რობერტ ადამიას მეცნიერული მოხსენებაც და შემიძლია ვთქვა, რომ ამ დროსაც ისეთივეა, როგორც ლექსების კითხვისას — შთაგონებული, შემართული... ბატონმა რობერტმა კარგად იცის კლასიკური მექანიკა, კვანტური მექანიკა, აღმერთებს და ყველაფრის სათავედ მიიჩნევს მათემატიკას... ბევრ რამეს აერთიანებს თავის თავში და აღარ მინდა მის პიროვნულ თვისებებზე ლაპარაკი, თუმცა ერთს მაინც ვიტყვი — ზოგჯერ დიდ ბავშვს მაგონებს. ესეც სრულყოფილი ადამიანის აღმატებული თვისებაა...“

საიუბილეო კრებულის კიდევ ერთ ავტორს, იმავდროულად რედაქტორს მივცეთ სიტყვა — **დემიკო ლოლაძეს, ცნობილ სპორტულ ჟურნალისტსა და ფოტოოსტატს, „შეთავსებით“ იუბილარის ნათესავს:**

„ენციკლოპედიური განათლების მქონე ეს უნიჭიერესი მჭევრმეტყველი დღესაც მაგალითს აძლევს გარშემომყოფთ მაღალი სულიერებით, თანადგომითა და ოპტიმიზმით. იმედიანად შეჰყურებს ახალგაზრდობას, რომლის მრავალი თაობის აღზრდასა და ჩამოყალიბებას მიუძღვნა მთელი შეგნებული სიცოცხლე...

თბილისი არც ისე დიდი ქალაქია და ერთმანეთის შესახებ ყველამ თითქმის ყველაფერი იცის. შევხვედრივარ რობიკოს უამრავ კოლეგას, მეგობარს, ახლობელს, მოწაფეს — ისინი ისეთ ნათელ პიროვნებად ახასიათებენ, რომელიც ასე სჭირდება საქართველოს...“

„ზოგიერთი ფრაგმენტი და მოგონება ჩემი ცხოვრებიდან“ ჰქვია ნაშრომის დამაგვირგვინებელ, ავტობიოგრაფიულ ნარკვევს, რომელმაც გამორჩეული შთაბეჭდილება დამიტოვა ბავშვის თვალით დანახული დიდი სამამულო ომის წლებისა და რუსეთში გატარებული მეცნიერული თუ „ტექნიკური“ წრთობისა და ნათლობის ხანის ხატოვანი აღწერით.

მრავალზე მრავალმა ქართველმა მეცნიერმა სწორედ რუსეთში აიდგა მკვლევარის ფეხი და იქ ფეხადგმულმა მიაღწია, შემდგომ, შემეცნების მწვერვალებს, სახელსა და დიდებას. რობერტ ადამიას მაგალითზე ნათლად ჩანს, როგორი გულისხმიერებითა და მზრუნველობით ეკიდებოდნენ რუსეთელი სწავლულები ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს. რობერტი კი „უბრალოდ“ ნიჭიერი კი არა, უნიჭიერესი ახალგაზრდა გახლდათ და ჯერ მოსკოვის საკავშირო მეტალურგიული მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში სპეციალობის ჩაბარებისას მოახდინა ნამდვილი ფურორი და მერე საკანდიდატო დისერტაციის დაცვისას.

ფურორია, მაშ რა არის, როცა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე უმაღლესი ნიშნის „გამოსაყვანად“ გამოსაცდელს სამ საკითხს ჩამოუწერს და მოსაფიქრებლად ოც წუთს აძლევს, ის კი ყოველგვარი მოფიქრების გარეშე უმალვე და ისე ამომწურავ პასუხს იძლევა, რომ ყოვლისა და ყოველთა მნახველ კომისიის წევრებს სახტად სტოვებს...

ფურორია, მაშ რა არის, როცა რობერტ ადამიას მეცნიერი ხელმძღვანელი, გამოჩენილი სპეციალისტი, პროფესორი ვლადისლავ როსალი შვებულებიდან ბრუნდება ზღვაზე გარუჯული, კაბინეტში შედის, საწერ მაგიდაზე სქელტანიანი (250 ნაბეჭდი გვერდი) საკვალიფიკაციო ნაშრომი დახვდება, ჩაიკეტება (არავინ გაბედოს შეწუხებაო!) და 7 საათის (!) განმავლობაში ეცნობა შესანიშნავი რუსულით დაწერილ გამოკვლევას. მერე კი „გამოტყდება“: ქართველები შედარებით ზარმაცები მეგონა, არადა ჩინელებივით შრომისმოყვარენი და ბეჯითები ყოფილანო.

იმ საკანდიდატო დისერტაციის დაცვამ ზარ-ზეიმით ჩაიარა მოსკოვში და ერთ-ერთი საზეიმო აკორდი ოფიციალური ოპონენტების შეფასება იყო — ნაშრომი სადოქტოროს ტოლფასიაო. კატეგორიული წინააღმდეგი იგივე ვლადისლავ როსალი წასულა, ასეთი გადაწყვეტილების მიღებით დისერტანტს სამომავლოდ ნაყოფიერი კვლევითი მუშაობის სტიმულს დავუკარგავთო...

დავსძენთ, რომ ქართველი ასპირანტის საკანდიდატო დისერტაციაში მიღებულმა თეორიულმა თუ პრაქტიკულმა შედეგებმა იმხანად შესაბამისი სფეროს ნამდვილი „შეზანზარება“ გამოიწვიეს...

აკადემიკოსი რობერტ ადამია საუცხოო მეცნიერულ ფორმაში მყოფი ხვდება სიცოცხლის მეოთხე ოცდახუთწლეულს: წიგნისთვის დართულ შრომათა სიაში ბოლო მონოგრაფია და ბოლო ექვსი(!) სტატია შარშანდელი 2008 წლით არის დათარიღებული!

„სახელოვანი მეცნიერის ულამაზესი შემოდგომა“ — ასეა დასათაურებული „რობერტ ადამიას“ ერთ-ერთი ნაკვეთი. წინ ელის ზამთარი, რომელიც სილამაზით შემოდგომას არ ჩამოუვარდება და ასევე სახელოვნებას პირდება. ახლა კი ამ ძვირფასი საჩუქრით უნდა იამაყოს, ამ მიძღვნითი წიგნით, მით უფრო, რომ სრულად დაიმსახურა. მკითხველისთვისაც კარგი საჩუქრით...

**მინაწერი: ჩემთვის სასიამოვნო ისიცაა, რომ „გაინგლისურებულ“ თბილისში დაისტამბა ქართული წიგნი, რომელსაც რუსულ ენაზეც ახლავს ანოტაცია და წერილები. რაც არ უნდა იყოს, სხვაა ცელიკოვ-პავლოვის რუსეთი და სულ სხვა — პუტინ-მედვედევისა...**

**თამაზ ებანოიძე**

## სამხედრო საქმე

# კარგი ტრადიცია გრძელდება

**როგორც ეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისთვის წინასწარ იყო ცნობილი, თებერვალში თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გეოსტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების აკადემიის რექტორის, გენერალ-ლეიტენანტ იური ნებიერიძის და საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით შეიკრიბა მორიგი „მრგვალი მაგიდა“ თემაზე — „აშშ ახალი პრეზიდენტის პოლიტიკა და საქართველოს ამოცანები“.**

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე იური ნებიერიძე, მისი პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი აკაკი მთიულიშვილი, პროფესორი მერაბ ჯიბლაძე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ფერიაშვილი, პროფესორი დავით ქევხიშვილი, პროფესორი ანატოლი მიხაილოვი, მწერალი გივი სომხიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

2008 წლის მიწურულს აშშ-ში რესპუბლიკური პარტიის მმართველობა შეიცვალა დემოკრატიული პარტიის მმართველობით. არჩევნებში გამარჯვებით ბარაკ ობამამ დაასრულა ჯორჯ ბუშიუმცროსის რვაწლიანი მმართველობა და გახდა მსოფლიოს სუპერ-სახელმწიფოს ლიდერი. ასაკოვანმა და ინოვაციურმა თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეითსმა უპრობლემოდ შეინარჩუნა თანამდებობა ახალ დემოკრატიულ ხელისუფლებაში. ძალაში დარჩა ინოვაციური ეკონომიკისა და ინოვაციური შეიარაღებული ძალების ერთდროული მშენებლობის სტრატეგიული კურსი.

როგორც აშშ-ის განვითარების მრავალწლიანი ისტორია ცხადყოფს, ქვეყნის სათავეში რესპუბლიკელი და დემოკრატიული ლიდერების ცვლილებით ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო-პოლიტიკური განვითარების მთავარი ვექტორი არსებითად არ იცვლება. იგი უფრო იხვეწება და მობილური ხდება.

2008 წლის აგვისტოში მომხდარმა საქართველო-რუსეთის 5-დღიანმა ომმა უმძიმესი პრობლემები დაგვიტოვა, რომელთა კომპლექსური გადაწყვეტა თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად საქართველოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

**გივი იასეშვილი,**
**საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, პოლკოვნიკი.**

## ინფორმაცია

# გაზაფხულზე, მეხუთე რაუნდზე...

**ჟენევაში მოლაპარაკებები ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მონიტორინგს სპეციალური საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ჯგუფები განახორციელებენ, რომელთა შემადგენლობაშიც გაეროს, ეუთოს და ევროკავშირის წარმომადგენლები შევლენ.**

**სპეცჯგუფის მოვალეობებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომხდარი ინციდენტების შესწავლა, გამოძიება და რეაგირება შევა. 4-პუნქტიანი დოკუმენტის მიუხედავად, სეპარატისტები აცხადებენ, რომ მიღწეულია შეთანხმება, რომელიც საბოლოოდ კიდევ დამტკიცებას მოითხოვს. ქართული მხარე კი აცხადებს, რომ მთავარი მექანიზმი შემუშავებულია და მთავარია მოლაპარაკებების შედეგად მიღებული შეთანხმება შესრულდეს.**

**ჟენევის მოლაპარაკებებისას დაზარალებულთა დაბრუნებასა და ჰუმანიტარული დახმარების შეტანაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. მხარეები იმედს იტოვებენ, რომ ეს საკითხები მოლაპარაკებათა მეხუთე რაუნდზე გადაწყდება, რომელიც გაზაფხულზე იგეგმება.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი და საქართველო: პირველი შეთანხმება

**ორდღიანი მოლაპარაკებანი რუსეთის, საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაწილეობით მიმდინარეობდა ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენელთა შუამავლობით.**

ეს იყო მეოთხე რაუნდი: პირველი გაიმართა გასული წლის ოქტომბერში და უშედეგოდ დამთავრდა.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პიერ მორელის სიტყვებით, „მიღწეული კონსენსუსი მოცემულ წინადადებებზე – სტაბილურობისა და უშიშროების დამყარების პირველი ნაბიჯია“.

ჟურნალისტების წინაშე გამოსვლის დროს მოლაპარაკებათა დამთავრების შემდეგ მორელმა დაუმატა, რომ მხარეები შეთანხმდნენ მომავალში ინციდენტების თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ.



საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტში ჩაბმული ყველა მხარე შეთანხმდა ყოველკვირეული შეხვედრების შესახებ ანდა უფრო ხშირადაც, რათა განიხილონ სათანადო პრობლემები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ რეგიონში უშიშროების საფრთხე.

მხარეები აგრეთვე შეთანხმდნენ ერთობლივ ვიზიტებზე ინციდენტების გამოსაკვლევად.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი აღნიშნავს, რომ დოკუმენტს აქვს „ძირითადად ჩარჩოს და სარეკომანდაციო ხასიათი“.

„მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს მეტად მნიშვნელოვანია და პოზიტიური „სასტარტო“ შეთანხმებანი, რომლებიც უნდა დაეხმარონ უფრო მშვიდ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობათა დამყარებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ერთი მხრივ, და საქართველოს შორის, მეორე მხრივ“, – განაცხადა კარასინმა.

მან დაუმატა, რომ რუსეთი „ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ამას“.

პირველ შეთანხმებას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში უშიშროების განმტკიცების საბრძოლო მექანიზმების შესახებ მიესალმა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაც. „ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, – განაცხადა ეუთოს თავმჯდომარის სპეციალურმა თავმჯდომარე ხარლამპოს ქრისტოპულოსმა. – ეუთო მზადაა სათანადო დახმარებისთვის, რათა ამ მექანიზმების მუშაობა უფრო შედეგიანი გახდეს“.

ოქტომბერში ჟენევის პირველი შეხვედრა უბრალოდ ჩაიშალა: რუსმა და ქართველმა დელეგატებმა უარი განაცხადეს ერთ ოთახში ჯდომაზე.

მეორე შეხვედრაზე ნოემბერში, ისინი შეთანხმდნენ სამუშაო ჯგუფების არაფორმალურ შეხვედრებზე ორი ამბოხებული რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

რუსეთი არის ერთ-ერთი იმ ორ ქვეყანას შორის მსოფლიოში, რომლებმაც აღიარეს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები და არა საქართველოს შემადგენელი ნაწილები.

თბილისი რუსი სამხედროების ყოფნას გამოყოფილი რესპუბლიკების ტერიტორიაზე „საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ოკუპაციას“ უწოდებს, მოსკოვი კი მხარს უჭერს ზომებს, რომლებიც ზღუდავენ „საქართველოს თავშეუკავებელ მილიტარიზაციას“ და არ აპირებს გააუქმოს ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით პოზიციების შეუთანხმებლობა აისახება რეგიონში საერთაშორისო მეთვალყურეების მანდატის შესახებ მოლაპარაკებებზეც.

მაგალითად, სოხუმში მიაჩნიათ, რომ გაეროს მისიის სახელწოდება მოყვანილი უნდა იქნეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის სტატუსის გამოცხადების შესაბამისობაში.

BBC RUSSIAN.com

# საქართველოს პრეზიდენტი ბი-ბი-სის კორესპონდენტის თვალით

**საქართველოში ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი ბრალს სდებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ქვეყანაში მძიმე მდგომარეობის გამო და მოუწოდებენ მას გადადგომას. ბი-ბი-სის კორესპონდენტს რეი ფურლონგს, რომელიც თან ახლდა საქართველოს პრეზიდენტს ქვეყანაში მისი მოგზაურობის დროს, შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი ხელს არ უშლის სააკაშვილს, შეინარჩუნოს ოპტიმიზმი.**

ძნელია იმ გრძნობის აღწერა, რასაც განიცდი, როდესაც იმყოფები ავტომობილში, რომელიც მიქრის უწყვეტი სი-



რენების ყმუილში იმ დროს, როდესაც სხვა ტრანსპორტი ადგილზე ჩერდება.

მე ვიმყოფებოდი პრეზიდენტ სააკაშვილის ავტომობილების კორტეჟში თბილისის ქუჩებში. როდესაც ჩვენ რამდენჯერმე შევაჩერეთ მანქანა, ქუჩაში მყოფთა თავშეკავებული ღიმილით ძნელი იყო იმის გაგება, თუ, კერძოდ, რა იმალება ამ ღიმილის უკან: უკმაყოფილება თუ აღტაცება.

დრო კი დასაზუსტებლად არ იყო. ჩვენ დავათვალიერეთ აგრეთვე ორი სამშენებლო მოედანი, რის შემდეგაც გავემგზავრეთ აეროპორტში ვიპ-ების გასასვლელის გავლით და გავეშურეთ პირდაპირ პრეზიდენტის თვითმფრინავისკენ.

ჩვენ გავფრინდით ბათუმში, იქიდან კი შვეულმფრენით – ქუთაისში, სადაც ერთი ინდოელი ინვესტორი აღადგენს სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მიტოვებულ ერთ ცემენტის ქარხანას.

როდესაც პრეზიდენტი ენერგიულად მიაბიჯებდა მოედანზე, ჩვენ ვიდეოოპერატორთან ერთად უნდა გავდევნებოდით მას ძუნძულით, რათა არ ჩამოვრჩენოდით, მცველები კი სულ გვაჩქარებდნენ.

მომენტი ფოტოგრაფირებისთვის უბრალოდ კლასიკური იყო. სურათს უნდა ეჩვენებინა, რომ მიუხედავად ომისა, საქართველო ძველებურად მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისთვის და ქვეყანაში იქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

სინამდვილეში ბევრი ინვესტორი გაიქცა, საქართველოში ამჟამად უმუშევრობა შეადგენს 13 პროცენტს – ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია კავკასიის რეგიონში.

შემდეგი ჩვენი გაჩერება აგრეთვე იყო წინასწარ კარგად დაგეგმილი. ჩვენ ჩავფრინდით ზუგდიდში, აფხაზეთთან ახლო მდებარე რაიონში.

მცველები მოკლედ შეჭრილი თმებით და შავი ტყავის ქურთუკებით სწრაფად წაგვიძღვნენ ჩაბნელებულმინებიანი ყველგანმავლების მწკრივის გავლით.

ქალაქში ჩვენ თბილი შეხვედრა გველოდა. ომის შემდეგ ახლად აღდგენილ სკოლაში მოსწავლეები ერთსულოვნად გაიძახოდნენ მის სახელს – „მიშა, მიშა“... პლაჟზე პრეზიდენტმა მიჩვენა დამწვარი საქანელები საბავშვო მოედანზე.

„რუსები შემოვიდნენ აქ, რათა ეს გაენადგურებინათ“, – თქვა მან და შეჩერდა დანგრეული საქანელების, მხიარული მთებისა და კარუსელების მახლობლად. ეს იყო პირველი გაჩერება ენერგიული მოძრაობის რამდენიმე საათის შემდეგ.

„შეძლებს თუ არა საქართველო ქვეყნის აღდგენას და გაუძლებს თუ არა გლობალურ ეკონომიკურ დაცემას?“ – შევეკითხე მე.

„რასაკვირველია, მიპასუხა პრეზიდენტმა, – ჩვენ არც ლაზა ვართ და არც კოსოვო“.

ჩვენ გავაგრძელეთ საუბარი შვეულმფრენში უკან ბათუმისკენ ფრენის დროს. მე შევეკითხე პრეზიდენტს ოპოზიციის შესახებ, რომელიც მოუწოდებს მას გადადგომას.

ოპოზიციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტს არ შეუძლია საქართველოს გამოყვანა კრიზისიდან და, რომ ის – ავტოკრატია, რომელიც არ აძლევს მათ საშუალებას, გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

მსგავს შეშფოთებას მასობრივი ინფორმაციების საშუალებების თავისუფლებასთან დაკავშირებით გამოთქვამდნენ დასავლელი დიპლომატებიც.

„არის ბევრი ოპოზიციური არხი, – მიპასუხა მან. – ისინი მეუბნებიან ძალიან არასასიამოვნო რამეებს. დედაჩემს ეს ძალიან წყინს. მაგრამ მე მიყვარს მათი სითამამე, ეს სიცილს იწვევს“.

მე ვთხოვე მას მოეყვანა პროგრამების კონკრეტული მაგალითი და მან დაასახელა ახალი სატელევიზიო რეალითი-შოუ, რის შესახებაც ამჟამად თბილისში ყველა ლაპარაკობს. შოუში ცნობილი მომღერალი ჩაიკეტა ციხისმაგვარ კამერაში და აცხადებს, რომ არ გამოვა იქიდან, სანამ ქვეყანაში არ გაიმართება ახალი არჩევნები.

„თქვენ ნახეთ უკანასკნელი პროგრამა?“, – შევეკითხე მე.

„არა, რატომ მეკითხებით?“

„იმიტომ, რომ ამ კვირაში პროგრამაში ვიყავი მე“.

ჩემმა სიტყვებმა აფეთქებული ბომბის შთაბეჭდილება მოახდინა და იქმნებოდა ისეთი სურათი, რომ ის გაუფუჭებდა პრეზიდენტს გუნება-განწყობილებას. მე მართლაც ვნახე ეს მომღერალი და ავიღე მისგან ინტერვიუ, რომელიც იმავე საღამოს სრულად აჩვენეს ტელევიზიით. მომენტი იყო მეტად უხერხული.

საბედნიეროდ, მიშამ შეძლო ამ სიტუაციაში დაენახა სასაცილო მხარე და მალე ჩვენ კვლავ გავრბოდით მშენებლობაზე – ამჯერად მოედანზე, რომელზეც აშენებენ ახალ სასტუმროს ბათუმში შავი ზღვის პირას.

მოგვიანებით სადილზე პრეზიდენტი სააკაშვილი აღფრთოვანებული იყო ქალაქში ახალი მშენებარე სახლების სურათებით.

„ეს ერთგვარად დუბაის დაემგვანება“, – თქვა მან და აიღო ახლად გამომცხვარი პურის ნაჭერი.

მაგიდას ამშვენებდა სხვადასხვა პროდუქტები: შემწვარი თევზი, ბადრიჯანი, ბროწეული და წითელი ქართული ღვინო.

მიშა ჭამდა მადიანად და მიამბობდა, სტუდენტობის წლებში კიევში ჯერ კიდევ საბჭოთა დროს თუ როგორ უმასპინძლდებოდა მეგობრებს ცივი ჰამბურგერებით, რომელიც მან მოიტანა მოსკოვში „მაკდონალდის“ პირველი კაფედან.

სწორედ ეს უბრალოება დაეხმარა მას მიეღწია პოპულარობისთვის. მაგრამ ამჟამად მისი პოპულარობა განიცდის სიმყარის გამოცდას.

მე საქართველოში ერთი კვირა დავყავი და თითქმის არავის, ვისთანაც ამ პერიოდში ვსაუბრობდი, არ ჰქონდა მუდმივი შემოსავლების წყარო. გორის ბაზარზე, სადაც აგვისტოში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, პენსიონერები მზესუმზირით ვაჭრობდნენ.

შუახნის ქალმა მიამბო, რომ მის ქმარს არასოდეს ჰქონია სამუშაო.

„ხალხი მეტად დაძაბულია და ნერვიულობს, – მითხრა მან. – არავის არაფრის გაკეთება არ სურს“.

მახლობელ სოფლებში, რომლებიც ჩვენ გავიარეთ, ხალხი ჯგუფებად იდგა ქუჩაში. ბევრ მათგანს ომის დროს მთლიანად გაუნადგურდა მოსავალი.

თბილისში მე ვნახე ლტოლვილები, რომლებიც თავს აფარებდნენ სივიწროვესა და სიცივეში ელექტროენერგიის გარეშე. ზოგიერთმა მათგანმა ბინა დაკარგა ჯერ კიდევ 1993 წლის პირველი ომის დროს.

როდესაც ამის შესახებ ვუამბე პრეზიდენტს, მან აღიარა, რომ ზოგიერთი ქართველი მძიმე პერიოდს განიცდის, მაგრამ ამავე დროს მას არ დაუკარგავს მისთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი.

„ჩვენ ასეთი პატარა ქვეყანა ვართ, – თქვა მან. – წინ რომ წავიდეთ, ბევრი არ გვინდა – რამდენიმე მილიონი იქით-აქეთ და სხვაობა უზარმაზარი იქნება“.

შემდეგ მან მე დამტოვა და გერმანიაში გაფრინდა. მე კი ორი საათი ვიჯექი შვეულმფრენში თბილისამდე, ვფიქრობდი ლიდერის შესახებ, რომელმაც შეინარჩუნა პოსტი ომის შემდეგ, და რომლის წინაშეც ამჟამად დგას მზარდი პრობლემები თავის სახლში.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**იაპონიის პრემიერი ელოდება რუსეთისგან ახალ წინადადებებს კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით**

ტარო ასომ განაცხადა, რომ ტოკიო ძველებურად აცხადებს პრეტენზიას სამხრეთ კურილიის ყველა კუნძულზე.

* * *

**სიმფეროპოლში განზრახული აქვთ, ყირიმის 55-წლის ყოფნა უკრაინის შემადგენლობაში აღნიშნონ სამგლოვიარო მიტინგით**

1954 წლის 18 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „ყირიმის ოლქის რსფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ-ს შემადგენლობაში გადაცემის შესახებ“. ყირიმის მცხოვრებთა უმეტესობა „სასაჩუქრო ბრძანებულებას“ მიიჩნევს „უკანონო აქტად“. ამ დროს კიევი ცდილობს მოახდინოს ყირიმის „უკრაინიზაცია“, სადაც მოსახლეობის 60 პროცენტი რუსია.



* * *

**ბანგლადეშში გადაბრუნდა ბორანი რამდენიმე ათეული მგზავრით**

სააგენტოების მონაცემებით გემის ბორტზე იმყოფებოდა 60-დან 150 კაცამდე. იტყობინებიან ერთი დაღუპულის შესახებ. მდინარის ბორანი გადაბრუნდა თევზსაჭერ ტრაულერთან შეჯახების დროს. მიმდინარეობს გადარჩენის ოპერაციები.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ძველებურად აკავებს რუსეთის თბომავალ „ომსკი-122“**

გემის მფლობელთა კომპანიაში უარყვეს ინფორმაცია გემის გათავისუფლების შესახებ. უფრო ადრე კი განაცხადეს იმის შესახებ, რომ გემს გაუშვებდნენ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს, განგვიმარტეს კომპანიაში.

* * *

**ზღვაში ჩავარდა ბრიტანეთის შვეულმფრენი, რომლის ბორტზეც 18 კაცი იმყოფებოდა**

შვეულმფრენი მიდიოდა ნავთობის ობიექტზე. იგი ჩავარდა ზღვაში შოტლანდიის სანავსადგურო ქალაქ აბერდინიდან 190 კილომეტრში. ბოლო მონაცემებით ხალხი გადაარჩინეს.



* * *

**ჰამბურგის ნავსადგურში აღმოაჩინეს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბრიტანული ბომბი: საზღვაო და საჰაერო მიმოსვლა პარალიზებულია**

ბომბს აქვს ორი ამაფეთქებელი და გაზრდილ საშიშროებას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით აპირებენ მის გაუვნებლობას ადგილზე საკონტროლო აფეთქების საშუალებით. შექმნილია უსაფრთხოების ზონა ერთი კილომეტრის რადიუსში.

მოზაიკა

# შაბათ-კვირის ბატალიები

**2009 წლის სპორტული სეზონი თანდათან ძალას იკრებს. საერთაშორისო ტურნირებთან ერთად ევროპის ჩემპიონატების ჯერიც დგება. ცხადია, ჩვენი ათლეტებიც მონდომებით ემზადებიან ამ შეჯიბრებისთვის და მომავალ შაბათ-კვირას თავიანთ შესაძლებლობებსაც გამოცდიან.**

### ტყვიის სროლა

**ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.** შეჯიბრებაზე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ სალუქვაძის ხელმძღვანელობით პრაღას გაემგზავრნენ ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე და თამილა ასათიანი, რომლებმაც 2005 წელს ევროპის ჩემპიონატზე გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. ვაჟებში ჩვენი ქვეყნის ღირსებას ლევან ქადაგიძე დაიცავს. შეჯიბრებაზე წასვლამდე ჩვენმა სპორტსმენებმა თორმეტდღიანი საწვრთნელი შეკრება ერევნის ოლიმპიურ ბაზაზე გაიარეს. იმედია, ჩვენი ჩუბინები წარმატებით გაგვახარებენ.



**სურათზე: ვახტანგ სალუქვაძე ესაუბრება ეროვნული ნაკრების წევრებს.**

### ჭიდაობა

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმაც საერთო ფიზიკური მომზადებისთვის ორი კვირის წინათ სომხეთის მაღალმთიან კურორტ წახკაძორს მიაშურეს. დღეში სამჯერადი ვარჯიშები ჰქონდათ.** დღეს კი კიევის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრებიან. უკრაინის დედაქალაქში ხვალ და ზეგ მედლებისთვის ბესიკ გოჩაშვილი (55 კგ.ძ, მალხაზ ქურდიანი (60ძ, მალხაზ მუზიაშვილი და ზურაბ კოტორაშვილი (ორივე – 66ძ, გელა საღირაშვილი (74ძ, თორნიკე სვანიძე და არჩილ ქიტიშვილი (ორივე – 84ძ, ბელდუხ გავაშელიშვილი და გიორგი ჩიქოვანი (ორივე – 96ძ, დავით ოთიაშვილი და ალექსი მოდებაძე (ორივე – 120ძ იბრძოლებენ.

ქართველი ფალავნები კიევიდან დაბრუნების შემდეგ ორ საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, რომლის შემდეგაც გაირკვევა ის შემადგენლობა, რომელიც 1-7 აპრილს ვილნიუსში ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

### ძიუდო

**ქართველმა ძიუდოისტებმა წლეულს წარმატებით აიღეს სტარტი თბილისის მსოფლიოს თასის გათამაშებაზე, სადაც სამი ოქროს, ხუთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პარიზის „დიდი სლემის" ტურნირზე ამირან პაპინაშვილმა „ვერცხლი" დაიმსახურა. ბიჭებმა იქვე ხუთდღიანი ერთობლივი წვრთნაც გაიარეს. ბუდაპეშტის მსოფლიოს თასზე ზვიად ხანჯალიაშვილმა „ოქროს" გამოჰკრა ხელი, ზვიად გოგოჭური კი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.**

ამ შაბათ-კვირას ძიუდოისტებს ჰამბურგი უმასპინძლებს. საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ბეთქილ შუკვანი, ლევან ჩუბინიძე (ორივე – 60 კგ.ძ, შალვა ქარდავა (66ძ, დავით კუპრაშვილი (73ძ, საბა გავაშელიშვილი (81ძ, მინდია ბოდაველი (90ძ, ირაკლი ცირეკიძე და ბესიკ ნადირაძე (ორივე – 100ძ. მწვრთნელები – ბორის ფირცხელიანი და ჯემალ ნათელაშვილი. ასპარეზობის შემდეგ ქართველი ძიუდოისტები ბუდაპეშტში დარჩებიან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე, იქიდან კი პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრებიან. ვარშავა კი ბოლო სალიცენზიო ტურნირს უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატამდე, რომელიც 25-26 აპრილს თბილისში გაიმართება.



ზამთრის მოტივებზე



# თოვლი, სუსხი... და ბურთი

**ევროპაში, მოგეხსენებათ, არნახულად მკაცრი ზამთარია, მაგრამ როცა უეფას თასზეა საუბარი, რთული კლიმატური პირობები რა მოსატანია. ხომ გაგიგონიათ, მატჩი ნებისმიერ ამინდში შედგებაო.**

პირველ მეთექვსმეტედფინალური რაუნდი სენსაციებითაც აღინიშნა. აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება შეფასდეს ხარკოველთა მიერ გენუაში მოპოვებული გამარჯვება ან მოკრძალებული დანიური კლუბის მიერ შინ ესპანური კერკეტი კაკლის დაჩოქება.



რაც შეეხება გათამაშების ფავორიტებს, მათი მონაწილეობით გამართული შეხვედრები ისეთი შედეგებით დასრულდა, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მშვენიერ შანსებს რომ უტოვებთ: ზენიტი – შტუტგარტი 2:1, დინამო (კიევიძ – ვალენსია 1:1, ოლიმპიაკოსი – სენტ ეტიენი 1:3, პარი სენ-ჟერმენი – ვოლფსბურგი 2:0, ვერდერი – მილანი 1:1, სამპდორია – მეტალისტი 0:1, ოლბორგი – დეპორტივო 3:0, ბორდო – გალათასარაი 0:0, ნაიმეგენი – ჰამბურგი – 0:3, ბრაგა – სტანდარდი 3:0, ასტონ ვილა – ცსკა 1:1.

ფეხბურთი

# დოპინგსინჯი WADA-ს ინკვიზიციური მეთოდი?

**დიახ, ფეხბურთის მსოფლიო და ევროპის შტაბების – ფიფასა და უეფას – ხელმძღვანელობებს მიაჩნიათ, რომ არაშეჯიბრის დროს დოპინგ-სინჯების აღება, მსოფლიო ანტიდოპინგის სააგენტომ (WADAძ რომ დააწესა, მნიშვნელოვან შერბილებას მოითხოვს. ისინი გამოდიან ამ ორგანიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც თითოეული სპორტსმენი მოვალეა, შეატყობინოს ამ ორგანიზაციას თავისი ადგილსამყოფელი წლის ყოველ დღეს საათების მიხედვით, რათა სააგენტოს ემისრებმა შეძლონ სინჯის აღება.**



ფიფას სამედიცინო კომიტეტის დირექტორმა მიშელ დ' ჰოგემ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფეხბურთში დოპინგის ტესტების 0,1 პროცენტი დადებითი აღმოჩნდა. მან ი WADA-ს ზოგიერთი წესი შუასაუკუნოვან ინკვიზიციას შეადარა.

უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ თავის მხრივ განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია კატეგორიულად არ ეთანხმება იმ იდეას, რომ ფეხბურთელები წელიწადში 365 დღე აუცილებლად უნდა იყვნენ მისაწვდომნი. მისი აზრით, ფეხბურთელები ტესტირებისგან უნდა გათავისუფლდნენ შვებულებების დროს მაინც.

ინტერნეტიდან

## პირველი ტური — პირველი ყაიმი




**სოფიაში დაიწყო მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვესელინ ტოპალოვსა (ბულგარეთიძ და მსოფლიო თასის მფლობელ გატა კამსკის (აშშძ შორის. პირველ ტურში გათამაშდა გრიუნფელდის დაცვის მოდური ვარიანტი, რომელიც გასულ ზაფხულს ტოპალოვის სეკუნდანტმა, ბულგარელმა დიდოსტატმა ივან ჩეპარინოვმა გამოიყენა სწორედ გატა კამსკის წინააღმდეგ. მართალია, მაშინ ამერიკელმა დიდოსტატმა მოსაგებ მდგომარეობას მიაღწია, მაგრამ ცაიტნოტში უხეშად შეცდა და დამარცხდა.**

ტოპალოვმა 17 სვლა ძალზე სწრაფად, 3 წუთში გააკეთა, თანაც მე-17 სვლაზე მის e4-e5, ადრე პრაქტიკაში რომ არ გამოუყენებიათ, სერიოზული სიახლე იყო, რამაც მთელი 40 წუთი ჩააფიქრა კამსკი.

ასევე ორიგინალური, თანაც ძალზე გამომწვევი იყო მისი სვლა – 17... CD7. შემდეგ ძალზე დაძაბული ბრძოლა გაიმართა გარდამავალი უპირატესობით. საბოლოოდ კი პრეტენდენტთა პირველი დაპირისპირება ყაიმით დამთავრდა.

## ოკეანეში — წინ და უკან

**ბრიტანელი იახტსმენი დი კაფარი პირველი ქალია, რომელმაც შეძლო დედამიწისთვის შემოეარა ორგზის – წინ და უკან – აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ.**



**დედამიწის გარშემო მარტოდმარტო რბოლას ნავსადგურებში შეუსვლელად კაფარმა 99 დღე 1:10,57 საათი მოახმარა.**

დი კაფარი ასევე პირველი ქალია, რომელმაც 2006 წლის მაისში დედამიწას შემოუარა ქარების საწინააღმდეგოდ. რასაც გაცილებით დიდი დრო – 178 დღე 3:05 საათი მოანდომა.

შეგახსენებთ, რომ ამ რბოლის Vendee Ciobe გამარჯვებული გახდა ფრანგი მიშელ დე ჟუიე, რომელმაც საფრანგეთის ლე საბლ-დ' ოლონიდან მანძილისძ – ასევე სამი ცნობილი კონცხის – კეთილი იმედის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაძ, ლევინის (ავსტრალიაძ და გორნის (ჩილეძ შემოვლა-გავლასა და უკან დაბრუნებას 84 დღე 3:09,8 საათი დაახარჯა.

## ჭორაობა ყველაფერზე როდი შეიძლება!

**იანვრის დასაწყისში ვენესუელელი მოდელი აიდა იესპიკა მილანში „გადაცხოვრდა", ქმარს კი – „ჯენოას" მცველს მატეო ფერარის ახალშობილი ვაჟიშვილი არონი დაუტოვა. ყოველივე ამან აალაპარაკა იტალიური ჟურნალ-გაზეთები, თითქოს აიდასა და მატეოს შორის განხეთქილებაა. რასაც დაბეჯითებით უარყოფს ლამაზმანი.**



„მილანში გადასვლა სამუშაოს გამო მომიწია, მატეო კი გენუაში დარჩა ისევ სამუშაოს გამო. ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, ჩვენ ძველებურად ბედნიერები ვართ", – მოაქვთ აიდას სიტყვები პრესაში.

მატეო იტალიაში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელია. მან იტალიის ნაკრების შემადგენლობაში 2000 წელს მოიგო ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი, 2004 წელს კი ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ის „ინტერსა" და „რომაშიც" თამაშობდა.

№ 32. პარასკევი, 20 თებერვალი, 2009 წელი.

◎ სანთელი

# რა სიურპრიზი მოუმზადა ჯუმბერ თითმერიამ ჯანსუღ ჩარკვიანს...



**„ჯუმბერ თითმერია – სამწუხაროდ, უკვე ორი წელია, რაც ჩვენს შორის აღარ არის და დღეს, 20 თებერვალს სამოცდაათისა გახდებოდა...**

ჰოდა, დავატარებთ მოგონებებს ძვირფას მეგობარზე, შესანიშნავ მწერალზე, მთარგმნელზე, ლიტერატურის კრიტიკოსზე, ესეისტზე...

...აი, გვხვდება იგი ქუჩაში – დიდ პავლე ინგოროყვასავით სულ წიგნებით და ჟურნალებით სავსე ჩანთით და სალამ-ქალამის შემდეგ მკვირცხლ თვალებში ღიმჩამდგარი გვიზიარებს რომელიმე წიგნის, ან ჟურნალში დაბეჭდილი მხატვრული ნაწარმოების წაკითხვით მოგვრილ სიხარულს...

რა დამავიწყებს (ნეტა იმ დროსძ, უნივერსიტეტის ბაღში, როგორ შემოიტანა ერთხელ „მნათობის“ ახალი ნომერი, რომელშიც ჯერომ სელინჯერის რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“ იყო დაბეჭდილი (ბატონი ვახტანგ ჭელიძის ბრწყინვალე თარგმანიძ, როგორი აღტაცებით საუბრობდა იგი სელინჯერის მწერლურ სტილზე (გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართულად თარგმნილი უახლესი უცხოური ლიტერატურა ჯერ კიდევ სანატრელი იყოძ, როგორ გვიკითხავდა რომანის ნაწყვეტებს...

ასე რამდენჯერ...

წერდა შესანიშნავად, მე დღემდე მახსოვს, კარგა ხნის წინათ, „ცისკარში“ დაბეჭდილი მისი ნარკვევი გრიგოლ სხულუხიაზე, მის ოჯახზე, გმირი მამის ღირსეულ ქალიშვილ ვინარი სხულუხიაზე, ხოლო ჯუმბერის პუბლიკაციებში ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, კრიტიკულ წერილებში ჩანდა მისი კასკასა ნიჭი, ანალიზის უნარი, პრინციპულობა, განსწავლულობა...

ერთი ხანობა, დიდად პოპულარული გახდა ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. არცთუ უსაფუძვლოდ. აქ ხომ, იმ დროს, მთავარი რედაქტორი ბრძანდებოდა ბატონი ნოდარ გურაბანიძე, რომელმაც გვერდით დაიყენა, მოადგილედ მოიწვია ჯუმბერ თითმერია, რამეთუ დიდად აფასებდა სწორედაც მის განსწავლულობასა და გემოვნებას.

ცალკე თემაა ჯუმბერ თითმერია – მთარგმნელი, მან უზადოდ, კეთილსინდისიერად აამეტყველა ქართულ ენაზე ვასილ შუშკინის მოთხრობები და კიდევ რამდენიმე სხვა შესანიშნავი რუსი მწერალი...

სხვა გული ჰქონდა, სხვა ჩამოსხმისა, მოსიყვარულე იყო, რომელსაც ხშირად ცვლიდა კოლხური სიფიცხე და, ზოგჯერ, გაწიწმატებაც კი ირგვლივ გამეფებული უზნეობის, უსამართლობის, ქვებუდნობის გამო... მისი საფიცარი ოჯახი, სამაგალითო ცოლშვილი იყო... და, რაღა თქმა უნდა, საძმო-სამეგობრო...

**ჯანსუღ ჩარკვიანი იგონებს:**

**– ერთ საოცრებას გავიხსენებ: პირველ სექტემბერს მესტუმრა ჯუმბერი და მითხრა – „ჩემო ჯანსუღ 30 სექტემბერს 65 წელი გისრულდება და რა გაგიხარდება, რომ საჩუქრად მოგართვაო, მე ვუპასუხე, როგორც წესი, მოხვალ სტუმრად და ეგ იქნება ჩემი ყველაზე დიდი საჩუქარი-მეთქი. დადგა 30 სექტემბერი, ამ დღეს ვართ დაბადებული მეც, ჩემი დაც და ჩემი ძმაც. ოჯახში სუფრაა გაწყობილი ოცდაათ კაცზე, მხოლოდ საძმოსათვის. შედარებით ადრე სამნი გვესტუმრნენ, ჯიმი – ჩემი ძმა, ზურაბ ჩილაჩავა – ჩემი ძმაკაცი და ჩემი უმცროსი მეგობარი ჯუმბერ თითმერია. ჯიმიმ ხმამაღლა მითხრა: „ჩემო ჯანსუღ, შევკრიბე შენი რჩეული ლექსები, შესავალი წერილიც დავურთე, რედაქტორებად ჯუმბერ თითმერია და ზურაბ ჩილაჩავა დაინიშნენ, ჯუმბერმა კრებული თავისი ვაჟიშვილის გამომცემლობა „საარში“ წაიღო და გამოსცა, ნატვრა აგისრულა, მეტი რა ექნა?!“ „აი, რას გპირდებოდიო“ – დაუმატა ჯუმბერმა, გავიხარე. ყველაფერს ველოდი, მაგრამ ასეთ საჩუქარს, არა“.**

ხედავთ რა შტრიხი შემატა ჯუმბერის პორტრეტს ბატონმა ჯანსუღმა?!

ასეთი იყო ნაღდი, ულალატო...

ძალიან გვაკლია დღეს მისი ცხელი გული, ნიჭიერება, შემართება...

ნათელში იყავ ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ქართული ტირილი და სიმღერა

**70 წლის**
**ჯუმბერ თითმერიას**

**გაჭირვების ჟამს რომ ვმღერით,**
**ის სიმღერა არ გახლავთ,**
**ის სიმღერა, – ტირილია,**
**რომელს ცრემლი თან ახლავს.**

**ტირილი რომ სიმღერას ჰგავს**
**ესეც ჩვენი ბედია,**
**ორთავე გვაქვს უფლისაგან,**
**ორივ ჩვენი ხვედრია.**

**მე, ორთავეს როცა ვისმენ,**
**გული ცრემლით იღვრება,**
**ღმერთმა შექმნა, ორი ტყუპი –**
**ტირილი და სიმღერა.**

**ერთს სიმღერას „ზარი“ ჰქვია,**
**ერთს კი – „მრავალჟამიერ“,**
**მე ორთავეს პატივსა ვცემ,**
**ვითარ იმერ-ამიერს.**

**გწამდეს, ახლაც ერთი არის**
**ჩვენი ბედი და ხვედრი,**
**შენი ქვეყნის ბედს ტიროდი**
**და ტირილით წახვედი.**

**წკვარამში ვართ, აღარა ჩანს,**
**არც ნათელი, არც რთველი,**
**რა ვთქვა ძმაო, ცოტა დარჩა,**
**შენისთანა ქართველი!**

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

---

**კოოპ. „ტყვიავის“ გაკოტრების მმართველი ი. ჩიხლაძე აცხადებს განმეორებით აუქციონს კოპ. „ტყვიავის“ ქონებაზე ამა წლის 20 მარტს 12 საათზე, გორის რ-ნის ს. ტყვიავის ყოფილი კოლმეურნეობის კანტორის შენობა.**

| № | ქონების დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ვარგისიანობის დონე % | აუდიტორული შეფასება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკამები | ცალი | 5 | საშუალო | 50 ლარი |
| 2 | რკინის კარადა | "—" | 1 | საშუალო | 30 ლარი |
| 3 | საკანცელარიო კარადა | "—" | 2 | საშუალო | 60 ლარი |
| 4 | საწერი მაგიდა | "—" | 2 | საშუალო | 50 ლარი |
| 5 | კაბინეტის მაგიდა | "—" | 1 | საშუალო | 50 ლარი |
| 6 | ხალიჩის ხეივნი | "—" | 1 | საშუალო | 50 ლარი |
| 7 | ტ-150 1991 წელი | "—" | 1 | სარემონტო | 1500 ლარი |
| 8 | გაზ-37-07 1987 წელი | "—" | 1 | სარემონტო | 350 ლარი |
| 9 | ავტომობილი "გაზიკი" | "—" | 1 | სარემონტო | 1260 ლარი |
| 10 | კანტორის შენობა | "—" | 1 | სარემონტო | 12600 ლარი |

16.000

**აუდიტი: ჟ. მაღალდაძე**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის**

## განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია შეახსენებს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას, რომ „საქართველოს კანონით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ (თბილისი, 2007 წლის 14 დეკემბერი. №5600-რს. თავი II, მუხლი 3, პ. 5ძ დადგენილია: „დაუშვებელია, საქართველოში სხვა რომელიმე აკადემიის წევრი იწოდებოდეს აკადემიკოსად ან წევრ-კორესპონდენტად ან აკადემიის წევრად კონკრეტული აკადემიის სრული სახელწოდების მითითების გარეშე, გარდა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრისა“.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი**
**ოთარ ნათიშვილი**
19.02.09.

---

## სააქციო საზოგადოება „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სააქციო საზოგადოება „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2009 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, სს „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ აქციონერებს გიწვევთ საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2009 წლის 13 მარტს, 18 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა №36.**

**სააქციო საზოგადოება „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2009 წლის 1 თებერვალი.**

**დღის წესრიგი:**

1ძ 2008 წლის ბალანსის დამტკიცება;
2ძ დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
3ძ სხვადასხვა.

დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ დირექტორატში (მის: ქ. თბილისი, ქსნის №36ძ, ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დაყენებული დირექტორის წინაშე, კრებამდე 10 დღით ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციებს უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარი პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

**აქციონერთა კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ სს „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ რეგისტრატორთან – შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“, ა. წ. 6 მარტამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №74ა, 22-53-51 ფაქსი: 25-19-60.**

**საზოგადოების დირექტორი**
**შ. გოგია**

---

**აბელ გეგია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფესორ**
**ზურაბ ჭარხალაშვილის**
**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი**
**გიორგი გიგაური**
**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2009 წლის 30 იანვარს №17 ნომერში გამოცხადებულ აუქციონში**

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული ველის სასაწყობე ბაზის შენობა-ნაგებობების, მათზე დამაგრებული მიწის ფართისა და ტექნიკური საშუალებების რეალიზაციის თაობაზე საკონტეინერო ტერმინალის მოწყობის მიზნით, სააუქციონო პირობების მე-2 პუნქტში ცვლილებების შეტანის შესახებ, შემდეგი რედაქციით:

2. სააუქციონო პირობები

განაცხადების მიღების ადგილი – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ: 56-33-48; 56-65-10; 56-53-20

განაცხადების მიღების ვადა – 2009 წლის 29 იანვრიდან 2009 წლის 27 მარტის ჩათვლით.

განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით. აუქციონის ჩატარების დღემდე 10 საათიდან 17 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10 საათიდან 12 საათამდე.

აუქციონი ჩატარდება – 2009 წლის 27 მარტს 14 საათზე

ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

---

◎ ინფორმაცია

## ბუნებრივი აირის კიდევ ერთი მსხვერპლი

**ბუნებრივი აირის გაჟონვის გამო კრწანისის ქუჩაზე 50 წლის დავით ქოჩიაშვილი საკუთარ ბინაში გაზით გაიგუდა. წინასწარი ინფორმაციით მას სახლში გაზის გამაცხელებელი არასწორად ჰქონდა დამონტაჟებული. დავით ქოჩიაშვილი ბინაში მარტო იმყოფებოდა. მომხდარს მთაწმინდა-კრწანისის პოლიცია იძიებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

---

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

# დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჭეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.



**შემოგვიერთდით, ერთად გადავარჩინოთ მომავალი, დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

ფონდი „იავნანა“

## ⦿ გუშინ – დღეისთვის

# ლიტერატურული ასოციაციები

**რევოლუციის დროს ქვის სროლით რომ თავი გამოიჩინეს, ის ბიჭები მინისტრებად და გუბერნატორებად დაინიშნენ და არის განუწყვეტელი „კარუსელის“ ტრიალი... და იქმნება კურიოზული შემთხვევები...**



**თურმე ნაცმოძრაობაში „თავგამოჩენილი“ ყველგან შეიძლება დაინიშნოს**: შინაგან საქმეთა სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, სასამართლოს თავმჯდომარედ, უშიშროების საბჭოს მდივნად... მერე ალბათ სასწავლებლად გაუშვებენ უცხოეთში...

მუშნი ზარანდია გახსოვთ? – „მინდა ვიცოდე, რაზე გადის ჩემი შესაძლებლობის ზღვარიო“... **აი, ამ გრძნობის დეფიციტია და ამიტომაც სასტუდენტე კაცი მინისტრად გვევლინება...**

* * *

**ირაკლი ბათიაშვილი დაიჭირეს. ბრალდება: ინტელექტუალური დახმარება მეამბოხე კვიციანისადმი... მტკიცება: სატელეფონო საუბარში უთხრა ემზარ კვიციანს, გამაგრდიო...**



ირაკლი ბათიაშვილის სასამართლოზე მოწმედ დამკითხეს (10. 05. 2007წ. მაშინ გავიხსენე: როდესაც იაკობ ხუცესმა გაიგო, ვარსქენმა სარწმუნოება გამოიცვალაო, სიმტკიცისაკენ მოუწოდა დედოფალს... **საძაგელ ვარსქენს ამისთვის იაკობი არ დაუსჯია...**

* * *

**ფრაგმენტი ანა კალანდაძის მინიატიურიდან: მიამბესო, „როდესაც ეს ეკლესია (მარტყოფში, მამლუქ შინჯიკაშვილის საფასით აგებული – გ.გ.) კინოდარბაზად გადააკეთეს, მოხსნეს გუმბათი და ჯვარი. ერთხელ კედლიდან ქვა გადმოვარდა და ორი ბავშვი დაიტანა. ერთი იმისი შვილი იყო, ვინც გუმბათი მოხსნა, მეორე კი იმისი, ვინც ჯვარი ჩამოიღო“...**

დღეს გამოაცხადეს ტელევიზიით, რომ ხელვაჩაურის გამგეობის შენობა ჩამოინგრა და ექვსი კაცი დაიტანაო (ღვთის მადლით, გადარჩნენ...გ.). **სწორედ ხელვაჩაურის გამგეობის გადაწყვეტილებით დაანგრიეს ერთი კვირის წინათ ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესია...**

* * *

**ამ ზაფხულს ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა“ წავიკითხე. გახსოვთ, ალბათ: ღორების მეთაურობით ცხოველები აჯანყდნენ და ფერმიდან ადამიანები გააძევეს – თავისუფალი ქვეყანა უნდა ავაშენოთო... და ნანატრი თავისუფლების ნაცვლად მყარდება ღორების დიქტატურა; ჩნდება ღორების მმართველი კლასი...**



თუ მიხვდით, რამ გამახსენა?..

– დღეს 2006 წლის 23 ნოემბერია... ღმერთმა მრავალ გიორგობას დაგასწროთ!...

* * *

**ვახტანგ გოგოლაშვილმა თავისი სტუდენტობისდროინდელი ამბავი მიამბო: შალვა ნუცუბიძის ლექციაზე მივიჩქაროდით. დავინახეთ, უნივერსიტეტის პირდაპირ, ქუჩაზე ბატონი შალვა გადმოდიოდა აჩქარებული ნაბიჯით... უეცრად მკვეთრად დაუმუხრუჭა მანქანამ. ბატონი შალვა სწრაფად შემობრუნდა, ხელში ჯოხი შემართა და ყვირილი და ლანძღვა დაუწყო თავხედ მძღოლს...**

ლექციაზე ბარათი მივწერეთ, არ გვეგონა, ასეთ დიდ ფილოსოფოსს თუ ასე ეშინოდათ სიკვდილისო... ბატონმა შალვამ ჩაიკითხა ბარათი, მიხვდა, რა თქმა უნდა, ჩაიღიმა და თავისებური მოხდენილი შეძახილით მოგვმართა: „თქვენი მეშინოდა, თქვენი!“...

2006 წელს თსუ-ში კონკურსში გამძვრალმა უნივერსიტეტელებმა რამდენჯერმე მაგრძნობინეს, თუ არ აპირებდი კონკურსში მონაწილეობას, რაღატომ იბრძოდიო... მაშინ გავიხსენე შ. ნუცუბიძე: თქვენთვის ვიბრძოდი, თქვენთვის-მეთქი...

**გიორგი გოგოლაშვილი**

## ⦿ ინფორმაცია

### „საქართველოს ბანკის“ ახალი პროექტი

„საქართველოს ბანკი“ კლიენტ სამშენებლო კომპანიებთან თანამშრომლობის ახალ პროექტს იწყებს.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა განაცხადა, ბანკი 10 სამშენებლო კომპანიას ამერიკული ოპიკი-სგან მიღებულ 28 მლნ დოლარს გამოუყოფს.

მისივე თქმით, პროექტის მიზანია, დაეხმაროს ბანკის კლიენტ სამშენებლო კომპანიებს პროექტების დასრულებაში, რომლებიც ბანკს ეკონომიკურად გამართლებულად მიაჩნია.

„საქართველოს ბანკმა“ მემორანდუმი ჯერ მხოლოდ სამ კომპანიასთან – „იბერია“, „კალასი“ და „ბაგები სითი გრუფთან“ გააფორმა, რომლებსაც სულ ექვსი პროექტი აქვთ. სამივე კომპანიას „საქართველოს ბანკი“ 12 მლნ დოლარს გადაუნაწილებს.

### ჯარიმა – ზღვის დაბინძურებისთვის

შავი ზღვის დაცვის კონვენციურმა ინსპექციამ, სანაპირო დაცვის სამსახურთან ერთად, პანამის დროშით მცურავი მშრალტვირთმზიდი “ზურაკ კავკავინი“ შეამოწმა.

ცემენტით დატვირთული გემი თურქეთიდან ფოთის პორტში უნდა შესულიყო. გემს დაუზიანდა ერთ-ერთი მილი, რომლის შემდეგადაც სამანქანო განყოფილებაში დაგროვილი ნავთობის შემცველი წყლები ფოთის აკვატორიაში, ღია ზღვაში ჩაიღვარა და დაბინძურება გამოიწვია.

ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გემს 65 ათას 231 ლარის გადახდა დაეკისრა. გემის კაპიტანმა ჯარიმა უკვე გადაიხადა.

ინტერპრესნიუსი

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76წ.
ფაქსი: 98-65-87.

**რეკლამა** კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ⦿ კადრი



## ⦿ ანეკდოტები

მამაკაცის დაკრძალვაზე, რომელიც სქესობრივი აქტისას გარდაიცვალა, მისი ძმაკაცი გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს:

– წყნარად იძინე, ძმაო! შენს მიერ დაწყებულ საქმეს ჩვენ განვაგრძობთ...



* * *

ვის გინდოდათ ოთხდღიანი სამუშაო კვირა? მიიღეთ! თქვენი კრიზისი.

* * *

– როგორ ჩაიარა თქვენს ფირმაში რეორგანიზაციამ? – ეკითხება ტიპი ძმაკაცს.

– ცუდად...

– ხელფასები მაინც დატოვეს?

– ხელფასები დატოვეს, მე – არა.

* * *

სამი მოხუცი საუბრობს.

– 82 წლისა ვარ, – ამბობს ერთი. – შარდვა მიჭირს. მთელი დილა ამას ვუნდები. ალბათ ქვები მაქვს თირკმელში...

– მე 85 წლისა ვარ. ნორმალურად კუჭში ვერ გავდივარ. მთელი დილა ამას ვუნდები. შეკრულობა მკლავს.

– მე კი უკვე 87-ისა ვარ და არანაირი ამგვარი პრობლემა არა მაქვს – ზუსტად დილის 7 საათზე ვშარდავ, რვის ნახევარზე კუჭში გავდივარ, რვაზე კი ვიღვიძებ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.